

ნასყიდობის საგნის ნივთობრივი ნაკლით გამოწვეული თანმდევი ზიანი გერმანულ სამართალში*

ულის ჰაგენლოხი

დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს ყოფილი პრეზიდენტი

A. შესავალი

ნასყიდობის საგნის ნივთობრივი ნაკლი აქვეითებს არა მხოლოდ ამ საგნით სარგებლობის შესაძლებლობას, არამედ მას შეუძლია სხვა სამართლებრივი სიკეთეების დაზიანებაც.

აქედან გამომდინარე, საკითხავია, რამდენად მოიცავს დამატებითი შესრულების/ნაკლის გამოსწორების (შემდგომში: დამატებითი შესრულება) გსკ-ის 439-ე პარაგრაფიდან (რეგულატორული მიზნიდან გამომდინარე, შედარებადია სკ-ის 490-ე მუხლთან) წარმომდგარი, ბრალისგან დამოუკიდებელი, მოთხოვნა ნაკლის თანმდევ შედეგებს, თუ გამყიდველმა მყიდველის (სხვა) ქონების დაზიანებისათვის მხოლოდ და მხოლოდ ბრალზე დამოკიდებულად (ზიანის ანაზღაურების ფარგლებში) უნდა აგოს პასუხი. მათ შორის, საკითხი ეხება იმას, შესაძლებელია თუ არა, ნაკლის შედეგების ამ გაფართოებამ, ნასყიდობის ნაკლოვანი შესრულებიდან წარმომდგარი მოთხოვნების გვერდით, ასევე მყიდველის ან მესამე პირების დელიქტური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოშვას. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როდესაც სახელშეკრულებო მოთხოვნები სავარაუდო ხელშემკვრელი მოვალის წინააღმდეგ, ბრალის არარსებობის ან ნაკლისათვის პასუხისმგებლობის გამორიცხვის გამო,

არ წარმოშობილა, ან, ხანდაზმულობის თუ გადახდისუუნარობის გამო, სამართლებრივად ან ფაქტობრივად განუხორციელებადია.

აღნიშნულ თემატიკას პრაქტიკული დატვირთვა აქვს განსაკუთრებით შემდეგ შემთხვევებში:

- მყიდველმა გადაამუშავა ან გადაყიდა ნასყიდობის საგანი, რომლის ნაკლი მხოლოდ მოგვიანებით აღმოაჩინა. ამან, შესაძლოა, წარმოშვას დამატებითი დანახარჯი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით, რადგან საჭირო ხდება ნასყიდობის ნაკლოვანი საგნის გამოყენებით აგებული პროდუქტის (მაგალითად, მოტორიანი საშუალების საწვავის ავზი ან ნაგებობაში ჩაშენებული ელექტროკაბელი) დემონტაჟი და შეკეთების ან შესაბამისი ჩანაცვლების შემდეგ მისი ხელახალი გადაამუშავება. ამავდროულად, მხედველობაშია მისაღები, რომ გადაყიდვის შემთხვევაში საბოლოო მყიდველსაც შეუძლია ნაკლის გამო მოთხოვნების წაყენება.
- ნაკლის შედეგები არ ამოიწურება მხოლოდ ნაკლის გამო ნივთის გაუფასურებით ან, საჭიროებისამებრ, დემონტაჟისა და მონტაჟისთვის ან სხვა გადაამუშავებისთვის აუცილებელი ნამატი დანახარჯებით, არამედ ნაკლი გავრცელდა და გადანვდა სხვა სფეროებსაც/ნივთებსაც. ეს, შესაძლოა, სხვადასხვა

¹ ტექსტი გერმანულიდან თარგმნეს ნინო ქავშაიაშვილმა და გიორგი რუსიაშვილმა.

გზებით და ინტენსივობით განვითარდეს. მოტორიანი საშუალების ავზის ნაკლის გამო შეიძლება სანვაი დაიღვაროს და ავზის შიგთავსი მესაკუთრისთვის გამოუსადეგარი გახდეს. სანვავის ჩაღვრამ შეიძლება ავნოს გარემოს ან ააღდეს. ამან შეიძლება ავტომობილში ხანძარი და მისი სხვა სატრანსპორტო საშუალებებზეც გავრცელება გამოიწვიოს და, შესაბამისად, აღნიშნული ავტოსაგზაო შემთხვევაში გადაიზარდოს. მიზეზობრიობის მსგავსი ჯაჭვი შეიძლება ამოქმედდეს მაშინ, როდესაც ელექტროკაბელის ნაკლი იწვევს მოკლე ჩართვას.

- ამგვარი თანმდევი შედეგები შეიძლება დამოკიდებული იყოს არა მხოლოდ საბედისწერო დამთხვევაზე, არამედ გამოწვეული იყოს ბუნების ძალებითაც. ამდენად, შეიძლება ნაკლოვანმა საკვებმა პროდუქტმა, ცხოველის საკვებმა ან სასუქმა, გამოიწვიოს ადამიანის ან ცხოველის ჯანმრთელობის დაზიანება ან აგროპროდუქტების საკვებად გამოყენების შეუძლებლობა. პროდუქტში მოხვედრილმა მავნე ნივთიერებებმა შესაძლოა განაპირობონ მკურნალობისა თუ დეტოქსიკაციის საჭიროება.

B. სახელშეკრულებო მოთხოვნები

I. კანონისმიერი დანაწესები

ნასყიდობის ნაკლოვანი შესრულებიდან წარმომდგარი მოთხოვნების მომწესრიგებელი დანაწესები გერმანიაში ბოლო 20 წლის განმავლობაში არაერთხელ შეიცვალა. დამატებითი შესრულებისა და ზიანის ანაზღაურების ამჟამად მოქმედი მოწესრიგება შემდეგნაირად გამოიყურება (აქ არ შევხებით გსკ-ის 437 Nr. 2 პარაგრაფიდან წარმომდგარი ხელშეკრულებიდან გასვლისა და გსკ-ის 441 Nr. 2 და 441-ე პარაგრაფიდან წარმომდგარი ფასის შემცირების უფლებებს):

§ 437 მყიდველის უფლებები ნაკლის არსებობისას

თუ ნივთი ნაკლის მქონია, სახეზეა ქვემოთ მოცემულ ნორმათა წინაპირობები და სხვა რამ

არ არის დადგენილი, მყიდველს შეუძლია მოითხოვოს: 1. დამატებითი შესრულება, § 439-ის მიხედვით;

...

3. ზიანის ანაზღაურება, §§ 440-ის, 280-ის, 281-ის, 283-ისა და 331a-ს მიხედვით, ან უშედეგოდ განეული ხარჯების ანაზღაურება, § 284-ის თანახმად.

§ 439 დამატებითი შესრულება

(1) მყიდველს, დამატებითი შესრულების სახით, შეუძლია, თავისი არჩევანით, მოითხოვოს ნაკლის აღმოფხვრა ან უნაკლო ნივთის მიწოდება.

(2) გამყიდველს ეკისრება დამატებითი შესრულების მიზნით განეული აუცილებელი ხარჯები, კერძოდ: გადაზიდვის, გადაყვანის, შრომისა და მასალების ხარჯები.

(3) თუკი მყიდველმა ნაკლის მქონე ნივთი, მისი სახეობისა და გამოყენების მიზნის შესაბამისად, ჩააშენა სხვა ნივთში ან სხვა ნივთს შეურია, სანამ ნაკლი შეცნობადი გახდებოდა, დამატებითი შესრულების ფარგლებში გამყიდველი ვალდებულია, აანაზღაუროს ნაკლის მქონე ნაწილის მოშორებისთვისა და შეკეთებული ან მიწოდებული უნაკლო ნივთის მიერთებისთვის საჭირო ხარჯები.

(4) გამყიდველს შეუძლია, უარი თქვას დამატებითი შესრულების მყიდველის მიერ არჩეულ ფორმაზე 275 II და III პარაგრაფიდან გამომდინარე უფლებების შეზღუდვის გარეშე, თუ დამატებითი შესრულება შესაძლებელია მხოლოდ არათანაზომიერი ხარჯებით. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით გასათვალისწინებელია უნაკლო მდგომარეობაში ნივთის ღირებულება, ნაკლის მნიშვნელობა და ის, იქნებოდა თუ არა შესაძლებელი დამატებითი შესრულების ალტერნატიული ფორმის გამოყენება მყიდველისათვის არსებითი ზიანის მიყენების გარეშე. ამ შემთხვევაში მყიდველის მოთხოვნის უფლება იზღუდება დამატებითი შესრულების ალტერნატიული სახით; გამყიდველის უფლება პირველი წინადადების წინაპირობების შესრულებისას, უარი თქვას დამატებითი შესრულებაზე, უცვლელი რჩება.

(5) მყიდველი ვალდებულია, დამატებითი შესრულების მიზნებისთვის გადასცეს გამყიდველს ნივთი.

(6) თუ გამყიდველი, დამატებითი შესრულების მიზნით, მყიდველს აწვდის უნაკლო ნივთს, მაშინ მას შეუძლია, მყიდველისგან მოითხოვოს ნაკლის მქონე ნივთის უკან დაბრუნება 346-ე-348-ე პარაგრაფების მიხედვით.

ამდენად, ნასყიდობის ნაკლოვანი შესრულებიდან წარმომდგარი მოთხოვნების მომწესრიგებელი დანაწესები ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით არსობრივად ემთხვევა ქართულ მომწესრიგებას. თუმცა, დამატებითი შესრულების მომწესრიგებელი კანონისმიერი რეგულაციები გერმანიაში უფრო დეტალურია (და ალბათ, ასევე, უფრო შორს მიმავალიც), ვიდრე საქართველოში, რადგან, სამომხმარებლო პროდუქტების ნასყიდობის დირექტივის² 3 III 3 მუხლის და, ასევე, საქონლის ნასყიდობის დირექტივის³ მე-14 Nr. 3 მუხლის შედეგად, ნაკლის მქონე ნივთის გადამუშავებისას დამატებითი შესრულების ფარგლები გაფართოვდა და მოიცვა ასევე გსკ-ის 439 III პარაგრაფიდან გამომდინარე დანახარჯების მოთხოვნაც.

II. ბრალზე დამოკიდებული პასუხისმგებლობა

შედარებით უპრობლემოა თანმდევი ზიანის შერაცხვა, როდესაც ნივთის ნაკლი გამყიდველის ბრალით არის გამონვეული. ისევე, როგორც ქართულ სამართალში (სკ-ის 494 I მუხლი, 394 I მუხლი), ამ დროს გამყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი (გსკ-ის 437 Nr. 3 პარაგრაფი, 280 I პარაგრაფი). ზიანის ანაზღაურების აღნიშნულ ვალდებულებას აქვს არსებითი პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან ის (დამატებითი შესრულების მოთხოვნისგან განსხვავებით) პასუხისმგებლობის შერაცხვისას (მიზეზობრიობა, დაცვის მიზანთან კავშირი და ა. შ.) მყიდველს გზას უხსნის გამყიდველისაგან, ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე, ყველა გაშუალებული თუ უშუალო ქონებრივი დანაკლისის კომპენსაციის მოთხოვნისაკენ.

პასუხისმგებლობის დამფუძნებელი წინაპირობებისთვის, მათ შორის, დამცავი ვალდებულებებისა და პროდუქტის მწარმოებლის მოვალეობების დარღვევის შემთხვევაში, გამოიყენება შემდეგი პრინციპები:

1. პირადი ბრალი

ა) გამყიდველი არის მწარმოებელი

თუ გამყიდველი ამავედროულად თავად არის ნასყიდობის საგნის მწარმოებელი, ნასყიდობიდან გამომდინარე სახელშეკრულებო დამცავი ვალდებულებების შინაარსი განისაზღვრება იმ კრიტერიუმებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია მწარმოებლის პასუხისმგებლობისთვის. მან, განსაკუთრებით, პასუხი უნდა აგოს წარმოების, კონსტრუქციისა თუ ინსტრუქციაში შეცდომის გამო, ასევე, ხარისხის კონტროლის დეფიციტისათვის [პროდუქტის არასაკმარისი გამოცდა], როგორც მიწოდებულ პროდუქტთან (მიწოდებული პროდუქტის კონტროლი), ისე დამზადებულ პროდუქტთან (ბრუნვაში ჩაშვებული პროდუქტის კონტროლი) დაკავშირებით (მდრ. ქართულ სამართალში: სკ-ის 1009-ე, 1010-ე მუხლები).⁴

სხვა დანარჩენი მოვალეობები, რომლებიც მწარმოებელ-გამყიდველს ეკისრება, როგორცაა დამატებითი შესრულების ვალდებულება ან დამცავი ვალდებულებების ფარგლები, ფაქტობრივად, შეესაბამება ქვემოთ, რისელერისაგან [გადამყიდველისგან] ნივთის ყიდვისას დადგენილ კრიტერიუმებს.

ბ) გამყიდველი არის შუალედური გამყიდველი [რისელერი]

როდესაც გამყიდველი არის არა მწარმოებელი, არამედ შუალედური გამყიდველი (შემდგომში: რისელერი), მისი პასუხისმგებლობა, თავისთავად, გამორიცხულია. მას პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ მაშინ, როდესაც მან ნაკ-

² დირექტივა (EU) 1999/44/EG; ამ მომენტისთვის გაუქმებული.

³ დირექტივა (EU) 2019/771 - დოკუმენტი 32019L0771.

⁴ ამასთან დაკავშირებით ჰაგენლოხი, შედარებითი სამართლის ჟურნალი 19/2022, 141-ე და მომდევნო გვერდები.

ლი აღმოაჩინა ან მას ნივთის შემონმების ვალდებულება ჰქონდა (რაც, ჩვეულებრივ, გამონაკლისის წარმოადგენს) და, შესაბამისი შემონმების შემთხვევაში, ნაკლი აღმოჩენილი იქნებოდა. განსაკუთრებულ შემთხვევებში რისელები შესაძლოა ვალდებული იყოს, აანაზღაუროს ინფორმაციის მიწოდების ან კონსულტირების ვალდებულების დარღვევის გამო დამდგარი ზიანი.

ა) შოვნის ან დამზადების ვალდებულება

გამსხვისებელსა და შემძენს შორის მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო თუ გამსხვისებელზე ვრცელდებოდა, ასევე, მწარმოებლის ვალდებულებები (კერძოდ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შესრულებისა და დაცვის/დამცავი ვალდებულებები უთანაბრდებოდა მწარმოებლის ვალდებულებებს) დგინდება სახელშეკრულებო ურთიერთობის განმარტებით.

სულ მცირე, ისეთი რისელების შემთხვევაში, რომელიც პოზიციონირებს, როგორც „გამყიდველი“ და პროდუქტის ფართო სპექტრს სთავაზობს მომხმარებელს, ინტერესთა ცხადად აღქმადი გადანაწილების მიხედვით, საფუძველს მოკლებულია იმის ვარაუდი, რომ მან მყიდველის წინაშე, კონკლუდენტურად, მწარმოებლის დარი პასუხისმგებლობა იკისრა. ეს განსაკუთრებით ისეთ საქონელს ეხება, რომელიც ჩვეულებრივ შეთავაზებულია სავაჭრო კომპანიების მიერ, არა როგორც ინდივიდუალურად წარმოებული, არამედ სტანდარტიზებული ფორმით ფასების ჩამონათვალში ან სხვა აღწერებში. აქ უმნიშვნელოა, პროდუქტი უკვე წარმოებულია და მარაგშია თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ უნდა დამზადდეს.⁵ ეს მით უფრო აქტუალურია, რადგან, მაშინაც კი, როდესაც მყიდველი საგანს მწარმოებლისგან იძენს, მას ავტომატურად ვერ ექნება იმის მოლოდინი, რომ მწარმოებელი თვითონ ამზადებს მთლიანი საგნის ცალკეულ ელემენტებს, მაგალითად, ახალი ავტომობილის ან

ელექტრონული მოწყობილობის ცალკეულ ნაწილებს.⁶

ცალსახა შეთანხმების გარეშე, დაუშვებელია იმგვარი განმარტება, რომ რისელების სტატუსით მოქმედი გამყიდველი დამზადების ვალდებულებას (ნაკეთობის მიწოდება-წარდობის (Werklieferungvertrag) ხელშეკრულების გაგებით, გსკ-ის 650-ე პარაგრაფის) კისრულობს.⁷ მწარმოებლისგან ნივთის შეძენის შემთხვევაშიც კი, ასეთი მოლოდინი შესაბამისი ინდივიდუალური ნაწილების დამზადებასთან მიმართებით არ წარმოიშობა ან, მინიმუმ, გაუმართლებელია; მაგალითად, ავტომობილისა და ელექტრონული მოწყობილობების შემთხვევაში. სხვა შემთხვევა გვაქვს სახეზე, როდესაც არსებობს სამოქალაქო ბრუნვის შესაბამისი ჩვეულება ან „გამყიდველს“ საკუთარი საწარმოო პროცესი აქვს [თავად ამზადებს საკუთარი პროდუქტის ნაწილებს], რომელიც განსაკუთრებული ხარისხის გარანტიას იძლევა და ბაზარზე უზადლო რეპუტაციით სარგებლობს.⁸ ნებისმიერ შემთხვევაში, დამზადების ამგვარი ვალდებულების დაშვება შესაძლებელია არა ყოფითი დანიშნულების მასობრივ პროდუქციასთან მიმართებით, არამედ ძვირადღირებული ან, განსაკუთრებით, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პროდუქტების, ისევე, როგორც სახელწოდებაში შექმნილი პროდუქტების, მაგალითად, ძვირადღირებული მუსიკალური ინსტრუმენტების შემთხვევაში.

აღნიშნულ საკითხს არსებითი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მთლიანი პროდუქტის, ან მისი დამზადებისთვის საჭირო ინდივიდუალური ნაწილის, მწარმოებლის შესაძლო ბრალის შერაცხვისთვის (იხ. ქვემოთ, 2.).

ბ) შემონმების/ინფორმაციის მიწოდების/კონსულტირების ვალდებულება:

გამომდინარე იქიდან, რომ, ზემოთ მითითე-

⁵ უფრო ვრცლად: BGH, Urteil vom 2. April 2014 – VIII ZR 46-13 – BGHZ 200, 337, juris Rn. 19 f.

⁶ დაწვრილებით: LG Waldshut-Tiengen, Urteil vom 7. September 2012 - 3 O 11/10 KfH - juris Rn. 78 ff.

⁷ შდრ.: Staudinger, Eckpfeiler des Zivilrechts, 8. Auflage 2022/Beckmann, Kauf, N 17; Staudinger/Peters (2019) BGB, § 650 Rn. 9; vgl. auch BGH, Urteil vom 21. Juni 1967 - VIII ZR 26/65 - BGHZ 48, 118, juris Rn. 10).

⁸ Staudinger/Peters (2019) BGB, § 650 Rn. 9.

ბული საფუძვლების გამო, რისელერი, ჩვეულებრივ, არ არის ვალდებული, გასაყიდი პროდუქტი თავად დაამზადოს, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, ნივთის ნაკლი ავტომატურად არ მიუთითებს მის ბრალეულობაზე. კერძოდ:

(1) შემონმების ვალდებულება

რისელერი მხოლოდ ძალიან შეზღუდულად აგებს პასუხს მის მიერ გაყიდული პროდუქტის უსაფრთხოებაზე.⁹

აღნიშნული ეხება, როგორც სახელმეკრულებო, ისე დელიქტური სამართლიდან გამომდინარე სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოების ვალდებულებებს. კერძოდ, კონსტრუქციისა და ფაბრიკაციის შეცდომის გამო პასუხისგება, ზოგადად, გამორიცხულია.¹⁰ გამონაკლისის სახით, სხვანაირად შეიძლება გადანყდეს, უცხოელი მწარმოებლის ქვეყნის შიგნით მოქმედი დისტრიბუტორის შემთხვევა; კერძოდ, როდესაც მასზე, როგორც ქვეყნის შიგნით მწარმოებლის წარმომადგენელზე, გადადის პროდუქტის კონტროლის ვალდებულება (და მასთან ერთად, გაშუალებული, პასუხისმგებლობა პროდუქტის კონტროლიდან გამომდინარე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებისთვის).¹¹ სურსათის უსაფრთხოების განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეიძლება წარმოიშვას შემონმების განსაკუთრებული ვალდებულებები, კერძოდ მაშინ, როდესაც საკითხი ეხება იმ ქვეყნიდან იმპორტირებულ სურსათს, რომელთა უსაფრთხოების სტანდარტები რთულად გადამონმებადია.¹²

(1.1) რისელერი, როგორც წესი, მხოლოდ მაშინ არის ვალდებული, შეამოწმოს, არის თუ არა

პროდუქტი საფრთხის შემცველი, როდესაც განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, არსებობს კონკრეტული მიზეზი, მაგალითად, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა პროდუქტის გამოყენებისას დამდგარი ზიანის შესახებ.¹³ ცალკეულ შემთხვევებში შემონმების ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როდესაც რისელერს (განსაკუთრებით, თუ ის ექსპერტის როლში გამოდის) ნაკლის დადგენა მარტივად შეუძლია ან საკითხი ეხება განსაკუთრებით ძვირადღირებულ, ან დეფექტისაკენ მიდრეკილ პროდუქტებს.¹⁴

აღნიშნული ძალაშია ასევე მაშინაც, თუკი, მენარმეთა შორის ნასყიდობისას, შემძენი არის რისელერი, რომელიც გამოდის მყიდველის როლში და მას ეკისრება საკუთარ ინტერესებში განსახორციელებელი, შემონმების ვალდებულება (Obliegenheit) გერმანიის სავაჭრო კოდექსის 377 I პარაგრაფის შესაბამისად (შედარებადია სკ-ის 495 I მუხლთან). ეს ეხება მხოლოდ რისელერსა და მის მიმწოდებელს შორის სამართლებრივ ურთიერთობას. თუმცა გერმანიის სავაჭრო კოდექსის 377 I პარაგრაფი, მისი მიზნიდან გამომდინარე, რისელერს არ აკისრებს გადაყიდვის ჯაჭვში შემდგომი მყიდველის დაცვის ვალდებულებას [ნივთის გადამონმების ვალდებულება მას არ ეკისრება იმ პირის ინტერესებში (ინტერესების დაცვის მიზნით), რომელიც მისგან ყიდულობს ნივთს].¹⁵

საფრთხის თავიდან აცილების დამატებითი ვალდებულება რისელერს მაშინაც კი არ აქვს, როდესაც ის შეძენილ და გადაყიდულ ნივთს მისი საკუთარი სასაქონლო ნიშნით უშვებს სამოქალაქო ბრუნვაში. კვაზიმწარმოებლის როლზე მიბმული პასუხისმგებლობა (გერმანიის პროდუქტისათვის პასუხისგების შესახებ კანონის

⁹ BGH, Urteil vom 21. März 2023 - VI ZR 1369/20 - VersR 2023, 796, juris Rn. 20.

¹⁰ BGH, Urteil vom 21. März 2023 - VI ZR 1369/20 - VersR 2023, 796, juris Rn. 20.

¹¹ BGH, Urteil vom 9. Dezember 1986 - VI ZR 65/86 - BGHZ 99, 167, juris Rn. 14.

¹² შდრ. OLG Hamm, Urteil vom 26. Januar 2023 - I-2 U 49/21 - juris Rn. 53.

¹³ BGH, Urteil vom 21. März 2023 - VI ZR 1369/20 - VersR 2023, 796, juris Rn. 20; BGH, Urteil vom 17. Juni 1994 - V ZR 204/92 - NJW 1994, 2947, juris Rn. 40; BGH, Urteil vom 3. November 1982 - VIII ZR 282/81 - NJW 1983, 217,

juris Rn. 25; OLG Stuttgart, Urteil vom 17. August 2023 - 2 U 41/22 - MDR 2024, 34, juris Rn. 80.

¹⁴ შდრ. BGH, Urteil vom 29. November 2023 - VIII ZR 164/21 - ZIP 2024, 301, juris Rn. 26; BGH, Urteil vom 19. Juni 2009 - V ZR 93/08 - BGHZ 181, 317, juris Rn. 19; OLG Koblenz, Urteil vom 16. Mai 2023 - 3 U 151/23 - MDR 2023, 1314, juris Rn. 49; OLG Hamm, Urteil vom 26. Januar 2023 - I-2 U 49/21 - juris Rn. 52; OLG Braunschweig, Beschluss vom 16. Dezember 2021 -9 U 66/21 - juris Rn. 41.

¹⁵ Grunewald in: *Erman* BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 433 BGB Rn. 33.

(ProdHaftG) 4 I 1 პარაგრაფი, შეესაბამება სკ-ის 1011 II მუხლს) მოქმედებს მხოლოდ პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობის სამართალში.¹⁶

(1.2) აღნიშნული კრიტერიუმების გამო, მეორეული ავტომობილის რისელერს, როგორც წესი, იმ შემთხვევაში, როდესაც არაფერი მიანიშნებს ნაკლზე, მოეთხოვება მხოლოდ გაყიდული ავტომობილის გარეგანი დათვალიერება, მაგრამ არა დამატებითი გადამოწმება.¹⁷ თუმცა, ამგვარ გარეგან დათვალიერებაში შედის ისიც, რომ ავტომობილი ამწვე პლატფორმაზე უნდა განთავსდეს, მისი ქვედა ნაწილის დათვალიერების მიზნით. მეორადი ავტომობილების შემოწმების ინტენსიური ვალდებულება რისელერს ეკისრება მაშინ, როდესაც ის ამავდროულად უძღვება სპეციალიზებულ სახელოსნოს ან განსაკუთრებულ ნდობას აჩენს საკუთარ კლიენტებში.

უფრო დეტალური შემოწმების ვალდებულება აქვთ სპეციალიზებულ რისელერებს, როგორც წესი: ხელოვნების ნიმუშებით ან ანტიკვარებით მოვაჭრეებს. ამგვარი გარიგებების შემთხვევაში, სპეციალიზებული რისელერი მისი კლიენტების წინაშე გამოდის არა მხოლოდ მცოდნე პირის როლში, არამედ, ის თავად წყვეტს, რომელი ნიმუში შეიძინოს გადაყიდვის მიზნით და ხშირად მხოლოდ მას შეუძლია, კონკრეტული გამყიდველის სანდოობის შემოწმება.¹⁸

(1.3) დამატებით, შესაძლებელია მითითება კანონის განმარტებით ბარათზე (BT – Drucksache 14/6040 vom 14.05.2001, S. 210; <https://dserver.bundestag.de/btd/14/060/1406040.pdf>), რამდენადაც ის, სხვა საკითხებთან ერთად, განმარტავს:

„... ამ კითხვას (ავტორის მითითება: ეხება შემოწმების ვალდებულების ფარგლებს) ნასყი-

დობის ხელშეკრულების ყველა ტიპის შემთხვევაში ერთნაირი პასუხი ვერ გაცემა. მას, ვინც ინდუსტრიულად წარმოებული მასობრივი პროდუქციით ვაჭრობს, როგორც პროფესიონალი გამყიდველი, შეუძლებელია, მოეთხოვოს, საქონლის გადამოწმება კონსტრუქციის ან ფაბრიკაციის დეფექტზე. უმეტესად, მას ამის საშუალება არ ექნება. იგივე წესი ეხება კერძო [არაპროფესიონალ] გამყიდველსაც. ეს საკითხი სხვანაირად შეიძლება გადანყდეს, თუ განსაკუთრებულად ძვირადღირებულ ან დეფექტისკენ მიდრეკილ პროდუქტს ეხება საქმე, ან მაშინ, როდესაც გამყიდველს განსაკუთრებული საექსპერტო ცოდნა აქვს. მეორადი ნივთებით კომერციული ვაჭრობისას, განსაკუთრებით, მეორადი ავტომობილებით ვაჭრობისას, საჭიროა ცალკეულ შემთხვევებს შორის დიფერენცირება. თუ რისელერს არ აქვს საკუთარი სახელოსნო, მყიდველს მხოლოდ იმის მოლოდინი უნდა ჰქონდეს, რომ ავტომობილი შემოწმებული იქნება მარტივად შემჩნევად ნაკლზე. თუ რისელერს აქვს საკუთარი სახელოსნო, მისი ზრუნვის ვალდებულებები შეიძლება გაფართოვდეს და უფრო დეტალური შემოწმების ვალდებულებაც წარმოშვას.“

(2) ინფორმაციის მიწოდების / კონსულტირების ვალდებულება

განსაკუთრებულ შემთხვევებში გამყიდველს, სახელშეკრულებო ვალდებულებების გვერდით, შეიძლება დაეკისროს ინფორმაციის მიწოდების ან კონსულტირების ვალდებულებაც, რომლის დარღვევის დროსაც მას, ზოგადი ვალდებულებით სამართლებრივი დანაწესებიდან გამომდინარე, დაეკისრება ზიანის ანაზღაურება.

მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სახელშეკრულებო მოლაპარაკებე-

¹⁶ BGH, Urteil vom 21. März 2023 - VI ZR 1369/20 - VersR 2023, 796, juris Rn. 20; BGH, Urteil vom 7. Dezember 1993 - VI ZR 74/93 - NJW 1994, 517, juris Rn. 22.

¹⁷ BGH, Urteil vom 7. Juni 2006 - VIII ZR 209/05 - BGHZ 168, 64, juris Rn. 15; BGH, Urteil vom 19. Juni 2013 - VIII ZR 183/12 - NJW 2014, 211, juris Rn. 24 f.; BGH, Urteil vom 15. April 2015 - VIII ZR 80/14 - NJW 2015, 1669, juris Rn. 14; OLG München, Urteil vom 25. Oktober 2023

- 7 U 1224/21 - juris Rn. 94; OLG Karlsruhe, Beschluss vom 4. April 2023 - 14 U 216/21 - juris Rn. 40.

¹⁸ შდრ. აუქციონის მომწყობის შემთხვევაში: BGH, Urteil vom 13. Februar 1980 - VIII ZR 26/79 - NJW 1980, 1619, juris Rn. 32; LG Bielefeld, Urteil vom 20. September 1988 - 23 O 101/88 - NJW 1990, 1999, juris Rn. 18, hinsichtlich der Echtheit des Kunstwerks.

ბის დროს, თითოეულ მხარეს აქვს ვალდებულება, მეორე მხარეს (აშკარა ჩაკითხვის გარეშე) შეატყობინოს იმ გარემოებების შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ, ჩაშალონ მყიდველის სახელშეკრულებო მიზანი და, ამდენად, ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვთ.¹⁹ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, ინფორმირების ვალდებულების წინაპირობები და ფარგლები განისაზღვრება ნდობისა და კეთილსინდისიერების, ასევე სამოქალაქო ბრუნვის ჩვეულებების მიხედვით.²⁰ ინფორმირების შესაბამისი ვალდებულება, მათ შორის, წარმოიშობა მაშინ, როდესაც გამყიდველი საექსპერტო ცოდნის მქონედ პოზიციონირებს²¹ ან, როდესაც, ხელშეკრულების საგნის ან წარმოებული მოლაპარაკებების შედეგიდან გამომდინარე, მყიდველს არ შეუძლია, დამატებითი საშუალებების გარეშე, მოიპოვოს ინფორმაცია მისთვის მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ.²²

გამყიდველის ინფორმირების ან კონსულტირების ამგვარი ვალდებულების ვარაუდისას რეკომენდებულია სიფრთხილე, რადგან ამან შეიძლება წარმოშვას (ნასყიდობისას) ნაკლისათვის პასუხისმგებლობის ფარგლებში, რისკებისა და პასუხისმგებლობის სფეროების გამანაწილებელი რეგულაციების თამაშგარედ დატოვება.²³ განსაკუთრებით გასათვალისწინებელია, რომ ნაკლოვანი შესრულებიდან წარმომდგარ მოთხოვნებს (გსკ-ის 437-ე და შემდგომი პარაგრაფები), სხვა მოთხოვნებთან შედარებით, უპირატესობა ენიჭება, გარდა ნაკლის განზრახ დამალვის შემთხვევებისა.²⁴

ამის საპირისპიროდ, სხვანაირად წყდება შე-

მთხვევა, როდესაც მყიდველი რისელებს რჩევას სთხოვს. ამით ის ამ უკანასკნელს აყენებს ნდობით აღჭურვილი პირის პოზიციაში და იბოჭება ვალდებულებით, მიაწოდოს მყიდველს სათანადო განმარტება პროდუქტის კონკრეტულ მახასიათებლებზე.²⁵ კონსულტირების მოვალეობის მასშტაბი და მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც ელოდება მყიდველი გამყიდველისგან, დამოკიდებულია ყოველი ცალკეული შემთხვევის კონკრეტულ გარემოებებზე.²⁶ სპეციალიზებულ მაღაზიაში მყიდველს შესაძლოა, გამყიდველის პერსონალის მხრიდან უფრო სიღრმისეული სპეციალიზებული ცოდნის გამართლებული მოლოდინი ჰქონდეს, ვიდრე ფართო არჩევანის პროდუქციის ჩვეულებრივ მაღაზიაში ან ონლაინ რისელებთან; ან, მაგალითად, პროდუქტის, პირდაპირ მწარმოებლისაგან ყიდვისას, მისგან ელოდეს უფრო სპეციალურ და დეტალურ ინფორმაციას პროდუქტზე, ვიდრე იმავე პროდუქტის უბრალო რისელებისგან ყიდვის შემთხვევაში. მწარმოებლისგან პროდუქტთან დაკავშირებული, შორს მიმავალი რისკების შესახებ ინფორმაციის მოპოვების ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ საგამონაკლისო შემთხვევებში.²⁷

დამატებით საყურადღებოა ისიც, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დამატებითი კონსულტირების ვალდებულების დარღვევიდან წარმომდგარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, როგორც წესი, შემოისაზღვრება „ნდობის ზიანით“ (ე.წ. ნეგატიური ინტერესით) და არ მოიცავს ხელშეკრულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე ზიანს, განსაკუთრებით, – მიუღებელ სარგებელს.²⁸

¹⁹ BGH, Versäumnisurteil vom 28. Juli 2005 - III ZR 290/04 - ZIP 2005, 1599, juris Rn. 26; BGH, Urteil vom 6. April 2001 - V ZR 402/99 - NJW 2001, 2021, juris Rn. 8; OLG Koblenz, Urteil vom 16. Mai 2023 - 3 U 151/23 - MDR 2023, 1314, juris Rn 47.

²⁰ BGH, Versäumnisurteil vom 28. Juli 2005 - III ZR 290/04 - ZIP 2005, 1599, juris Rn. 26.

²¹ შდრ. BGH, Urteil vom 16. Juni 2004 - VIII ZR 303/03 - NJW 2004, 2301, juris Rn. 14.

²² Grunewald in: *Erman* BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 433 BGB Rn. 25.

²³ შდრ. BGH, Urteil vom 26. September 2018 - VIII ZR 187/17 - BGHZ 220, 19, juris Rn. 16; BGH, Urteil vom 13. Juli 2022 - VIII ZR 329/21 - MDR 2022, 1079 - juris Rn. 57, jeweils zum Wegfall der Geschäftsgrundlage.

²⁴ მყარად დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა: BGH, Urteil vom 27. März 2009 - V ZR 30/08 - BGHZ 180, 205, juris Rn. 19, 24; BGH, Urteil vom 5. Oktober 2001 - V ZR 275/00 - NJW 2002, 208, juris Rn. 31.

²⁵ BGH, Urteil vom 16. Juni 2004 - VIII ZR 303/03 - NJW 2004, 2301, juris Rn. 10; BGH, Urteil vom 23. Juli 1997 - VIII ZR 238/96 - NJW 1997, 3227, juris Rn. 14.

²⁶ BGH, Urteil vom 16. Juni 2004 - VIII ZR 303/03 - NJW 2004, 2301, juris Rn. 14.

²⁷ დანვრილებით: BGH, Urteil vom 16. Juni 2004 - VIII ZR 303/03 - NJW 2004, 2301, juris Rn. 14 ff.

²⁸ BGH, Urteil vom 6. Februar 2018 - II ZR 17/17 - NJW 2018, 1675, juris Rn. 9; BGH, Urteil vom 19. Mai 2006 - V ZR 264/05 - BGHZ 168, 35, Rn. 21; BGH, Urteil vom 5. Oktober 2001 - V ZR 275/00 - NJW 2002, 208, juris Rn. 39.

გგ) რისელერი, როგორც მწარმოებელი

რისელერზე შეიძლება გავრცელდეს პროდუქტის წუნიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა, თუ მან ნივთი მისი გამოყენების თავდაპირველი მიზნისგან განსხვავებული მიზნით გადაყიდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნივთი თავად არ დაუმუშავებია.

ეს შემთხვევა, მაგალითად, სახეზეა, როდესაც რისელერი პროდუქტს იღებს, როგორც (უტილიზაციისათვის გამიზნულ) ნარჩენს, თუმცა ამავრებს მას სხვა აღწერილობას და, პროდუქტის მკვებავი შემადგენლობის მითითების შემდეგ, ის ბაზარზე გამოაქვს, როგორც სასუქი სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ აქ პროდუქტის შემადგენლობა არ შეცვლილა, ამ გზით ნასყიდობის საგანი მაინც პროდუქტის სხვა პალიტრას მიეკუთვნა (სასუქი, ნაცვლად ნარჩენისა), რაც იწვევს მოხმარებისა და უსაფრთხოების განსხვავებულ მოლოდინებს (შდრ. ქართულ სამართალში სკ-ის 1009 II გ) მუხლი). აღნიშნული მოითხოვს, რომ, პასუხისმგებლობის ნაწილში, რისელერი, მყიდველებისა და მათი შემდგომი კონტრაქტების წინაშე, მწარმოებლად იქნეს განხილული.²⁹

გ) არაკომერციული მიზნებით გაყიდვა:

წუნდებული პროდუქტიდან გამომდინარე ვალდებულებები, რომლებიც ჩამოყალიბებულია რისელერისათვის, კერძო (არაპროფესიონალ) გამყიდველზე ვრცელდება შემდეგი დათქმებით:

ერთი მხრივ, კერძო გამყიდველის შემთხვევაში, შემოწმებისა და კონსულტირების ვალდებულებები, ჩვეულებისამებრ, შედარებით ნაკლებ აქტუალურია, რადგან, როგორც წესი, მას სპეციალიზებული ცოდნა არ აქვს. მეორე

მხრივ, როდესაც ნასყიდობის საგანს გაყიდვამდე თავად გამყიდველი იყენებდა, ჩვეულებისამებრ, უნდა ივარაუდებოდეს, რომ მისთვის ნივთის ნაკლი ცნობილია და მას (განსაკუთრებით, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული) ნივთის ნაკლის გამჟღავნება ევალება.

ამდენად, როგორც წესი, მეორადი ავტომობილის მყიდველს შეუძლია, ჰქონდეს მოლოდინი, რომ ავტომობილი არ არის მოყოლილი ისეთ ავარიში, რომლის შედეგებიც სცდება მიზერულ დაზიანებებს. ამიტომაც, ერთი მხრივ, გამყიდველს ეკისრება გამჟღავნების შესაბამისი ვალდებულება³⁰, რომელიც მოიცავს ყველაფერს, რაც აღემატება შეღებვით გამოსწორებად, უბრალო დაზიანებას, მაშინაც კი, როდესაც ავტომობილი პროფესიონალურად შეკეთდა.³¹ მეორე მხრივ, სხვა დამატებითი გარემოებების არარსებობის შემთხვევაში, არ შეიძლება არსებობდეს მოლოდინი, რომ მეორადი ავტომობილის კერძო გამყიდველი (როგორც წესი, სპეციალიზებული ცოდნის არქონის გამო) გაყიდვამდე, რაიმე ფორმით მაინც, შეამოწმებს ნივთს, თუნდაც ვიზუალური დათვალიერების გზით, შესაძლო ნაკლის აღმოჩენის მიზნით.³²

ინფორმაციის მიწოდების დამატებით სახელშეკრულებო ვალდებულებებს განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება უძრავი ნივთის ნასყიდობისას. ამ შემთხვევაშიც მოქმედებს წესი, რომ გამყიდველს ეკისრება ყველა იმ გარემოების გამჟღავნების ვალდებულება, რომელთაც მყიდველისთვის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, არსებითი მნიშვნელობა აქვთ და მათი განდობის მოლოდინიც, სამოქალაქო ბრუნვის ჩვეულებიდან გამომდინარე, მყიდველს სამართლიანად შეიძლება ჰქონდეს.³³

თუ გამყიდველმა იცის, რომ უძრავ ნივთზე განლაგებულია გადამუშავებული მასალა და ნარჩენები, მან ამის შესახებ მყიდველს უნდა შეატყობინოს.³⁴ თუ გამყიდველისთვის ცნობილია

²⁹ BGH, Urteil vom 21. März 2023 - VI ZR 1369/20 - MDR 2023, 774, juris Rn. 21 ff.

³⁰ BGH, Versäumnisurteil vom 10. Oktober 2007 - VIII ZR 330/06 - NJW 2008, 53, juris Rn. 20; Oberlandesgericht des Landes Sachsen-Anhalt, Urteil vom 30. Mai 2022 - 2 U 195/19 - juris Rn. 32; OLG Rostock, Urteil vom 28. August 2020 - 4 U 1/19 - DAR 2021, 22, juris Rn. 50.

³¹ Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 1. November 2018 - 6 U 32/16 - juris Rn. 33; OLG Rostock,

Urteil vom 28. August 2020 - 4 U 1/19 - DAR 2021, 22, juris Rn. 50.

³² Brandenburgisches Oberlandesgericht, Urteil vom 1. Juli 2008 - 6 U 120/07 - juris Rn. 80.

³³ BGH, Urteil vom 19. März 2021 - V ZR 158/19 - NJW-RR 2021, 1068, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 20. Oktober 2000 - V ZR 285/99 - NJW 2001, 64, juris Rn. 7.

³⁴ BGH, Urteil vom 23. September 2022 - V ZR 133/21 - NZM 2023, 137, juris Rn. 12.

დაბინძურებული ადგილების შესახებ, ინფორმირების ვალდებულების შესასრულებლად არ არის საკმარისი, რომ მან მყიდველს დაბინძურების არსებობაზე, მხოლოდ უბრალო ეჭვის სახით, მიუთითოს. ამის ნაცვლად, მან მყიდველს კონკრეტული დაბინძურების შესახებ უნდა შეატყობინოს.³⁵ თუ იყიდება მიწის ნაკვეთი, რომელზეც ადრე ინდუსტრიული ნაგავსაყრელი იყო განთავსებული, გამყიდველმა მყიდველს ამის შესახებ ინფორმაცია უნდა მიაწოდოს.³⁶ იგივე პრინციპები გამოიყენება მაღაროს არსებობიდან ან ნიადაგიდან გამომდინარე სხვა რისკებთან დაკავშირებით.³⁷

დ) დამატებითი შესრულების ვალდებულების დარღვევა

თუ გამყიდველი არ ასრულებს გსკ-ის 439 I პარაგრაფიდან გამომდინარე დამატებითი შესრულების ვალდებულებას, აღნიშნული წარმოადგენს ვალდებულების დამოუკიდებელ დარღვევას. ეს გამყიდველს, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი დანაწესებიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურებას ავალდებულებს, მიუხედავად იმისა, მიუძღვის თუ არა მას ბრალი ნასყიდობის საგნის ნაკლში.³⁸

აქ საყურადღებოა, რომ ზიანის ანაზღაურების ეს მოთხოვნა მიმართულია მხოლოდ იმ ქონებრივი დანაკლისის კომპენსირებისაკენ, რომელიც უკავშირდება დამატებითი შესრულების ვალდებულების დარღვევას, რადგან მხოლოდ აღნიშნული გამომდინარეობს მისგან კაუზალურად.³⁹ ფაქტობრივად, ეს იწვევს იმას, რომ ამავე საკითხის განხილვისას უნდა გაეცეს პასუხი

შეკითხვას, რა კონკრეტული შინაარსი ჰქონდა დამატებითი შესრულების ვალდებულებას; კონკრეტულად, რა დანახარჯი უნდა გაენია გამყიდველს ან, შესაბამისად, ანაზღაურებინა მყიდველისათვის (აღნიშნულთან დაკავშირებით ქვემოთ, III).

2. წინა მიმწოდებელი არ არის [რისელების] შესრულების დამხმარე

ნასყიდობის ხელშეკრულებათა ჯგუფში წინარე (წინა საფეხურზე მდგომი) მიმწოდებელი ან მწარმოებელი არ არიან რისელების შესრულების დამხმარეები (Erfüllungsgehilfe⁴⁰), რადგან, რისელერს, როგორც წესი, აქვს ნასყიდობის საგანზე მხოლოდ საკუთრების გადაცემის და არა – მისი დამზადების ვალდებულება (აღნიშნულზე ზემოთ, 1. ბ) აა)). აქედან გამომდინარეობს, რომ რისელერს მისთვის ნივთის მიმწოდებლის ან მწარმოებლის შესაძლო ბრალი არ უნდა შეერაცხოს გსკ-ის 278-ე პარაგრაფის (შედარებადი: სკ-ის 396-ე მუხლთან) შესაბამისად.⁴¹ იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც პროდუქტი შესყიდული იყო მწარმოებლისგან, თუმცა ის არ იყო ვალდებული, ნაკლთან დაკავშირებული, პროდუქტის დამზადებისთვის აუცილებელი ცალკეული ნაწილი თავად დაემზადებინა.

კანონის განმარტებით ბარათში⁴² აღნიშნულთან დაკავშირებით, მათ შორის, მითითებულია:

„უნაკლო ნივთის გადაცემის ვალდებულება არ იწვევს, თუნდაც არაპირდაპირ, დამხმარე პირების პასუხისმგებლობის გავლით [მათი ბრალის შერაცხვის გზით], გამყიდველის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ფუნდამენტურ

³⁵ BGH, Urteil vom 20. Oktober 2000 V ZR 285/99 - NJW 2001, 64, juris Rn. 9.

³⁶ BGH, Urteil vom 3. März 1995 - V ZR 43/94 - NJW 1995, 1549, juris Rn. 12 f.

³⁷ BGH, Urteil vom 29. Juli 1999 - III ZR 234/97 - BGHZ 142, 259 Rn. 11 ff., für Amtshaftung; vgl. weiter: BGH, Urteil vom 14. Oktober 1994 - V ZR 196/93 - NJW 1995, 45 - juris Rn. 13 ff.; LG Düsseldorf, Urteil vom 6. März 2002 - 2b O 68/01 - juris Rn. 56.

³⁸ შდრ. BGH, Urteil vom 29. April 2015 - VIII ZR 104/14 - NJW 2015, 2244, juris Rn. 14; OLG Zweibrücken, Urteil vom 13. August 2015 - 4 U 92/14 - juris Rn. 15; OLG Stuttgart, Urteil vom 17. August 2023 - 2 U 41/22 - MDR 2024, 34, juris Rn. 80; Pammler in: *Herberger / Martinek / Rüßmann / Weth / Würdinger*, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 437 BGB (Stand: 01.02.2023) Rn. 86.

³⁹ BGH, Urteil vom 29. April 2015 - VIII ZR 104/14 - NJW 2015, 2244, juris Rn. 14; OLG Stuttgart, Urteil vom 17. August 2023 - 2 U 41/22 - MDR 2024, 34, juris Rn. 80.

⁴⁰ Erfüllungsgehilfe – პირი, რომელსაც მოვალე საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად იყენებს.

⁴¹ მყარად დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა: BGH, Urteil vom 2. April 2014 - VIII ZR 46/13 - BGHZ 200, 337, juris Rn. 31; BGH, Urteil vom 29. November 2023 - VIII ZR 164/21 - ZIP 2024, 301, juris Rn. 19; BGH, Urteil vom 24. Oktober 2018 - VIII ZR 66/17 - BGHZ 220, 134, juris Rn. 97; BGH, Beschluss vom 9. Juni 2020 - VIII ZR 315/19 - NJW 2020, 3312, juris Rn. 18; BGH, Urteil vom 21. Juni 1967 - VIII ZR 26/65 - BGHZ 48, 118, juris Rn. 10, für Werklieferungskauf.

⁴² BT-Drucksache 14/6040 vom 14.05.2001, S. 209 f.; <https://dserv.bundestag.de/btd/14/060/1406040.pdf>.

გაფართოებას. ამგვარი გაფართოება სახეზე იქნებოდა, თუ საქონლის მწარმოებელი გამყიდველის შესრულების დამხმარე იქნებოდა. თუმცა უნაკლო ნივთის მიწოდების ვალდებულებას ამგვარი სამართლებრივი შედეგი არ აქვს. გამყიდველის ვალდებულება უნდა შეიზღუდოს უნაკლო ნივთის გადაცემით და არ უნდა მოიცავდეს ნივთის დამზადებას. ნივთის გადაცემის ვალდებულების შესრულებისას გამყიდველი არ იყენებს მწარმოებლის მომსახურებას, ნივთის დამზადება არ არის მოცული გამყიდველის ვალდებულებათა წრით. ამდენად, საქონლის მწარმოებელი, ზუსტად ისევე ვერ ჩაითვლება გამყიდველის შესრულების დამხმარედ, როგორც სამშენებლო მასალების მწარმოებელი – სამუშაოების განმახორციელებელი პირის (რომელიც იყენებს ამ მასალებს ნაკისრები სამუშაოს შესრულებისას) დამხმარედ.⁴³

ამის საწინააღმდეგოდ, თუ გამყიდველმა მყიდველს თავი (ობიექტურად არასწორად) მწარმოებლად წარუდგინა, მისი პასუხისმგებლობის საკითხი ისე უნდა გადაწყდეს, თითქოს მას პროდუქტი თავად დაემზადებინოს.⁴³

II. გარანტია

გამონაკლისის სახით, გამყიდველმა მყიდველის წინაშე შეიძლება იკისროს პროდუქტის უნაკლოობის გარანტია. ამ შემთხვევაში, თუ პროდუქტი არ არის უნაკლო, გამყიდველმა ბრალის გარეშე უნდა აგოს პასუხი და აანაზღაუროს ზიანი (შდრ. გსკ-ის 443-ე, 477-ე, 276-ე პარაგრაფებისთვის).

პრაქტიკაში ამგვარ გარანტიებს უმეტესწილად მწარმოებლის გარანტიის სახე აქვს. თუმცა შესაძლებელია, რისეღერმა ან სხვა გამყიდველმაც იტვირთოს პროდუქტის კონკრეტულ სტანდარტთან შესაბამისობის ბრალისგან დამოუკიდებელი პასუხისმგებლის ვალდებულება. ეს

შეიძლება მოხდეს როგორც სტანდარტიზებული, ისე ინდივიდუალური შეთანხმების ფორმით.

კითხვას, ნივთის თვისებების შეთანხმებისას, გამყიდველის მიერ გაკეთებული განცხადება უბრალოდ ნივთის თვისებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაა (გსკ-ის 434 II Nr. 1 პარაგრაფი; შედარებადია სკ-ის 488 I 1 მუხლთან) თუ ნივთის თვისებებზე გაცემული გარანტია, პასუხი უნდა გაეცეს ნასყიდობის დადებისას ინტერესთა ტიპური განაწილებისა და სამოქალაქო ბრუნვის ჩვეულებების გათვალისწინებით.⁴⁴

მაგალითად, მეორეული ავტომობილების ბაზარზე აუცილებელია დადგენა იმისა, გამყიდველი არის სპეციალიზებული რისეღერი თუ კერძო გამყიდველი. თუ გამყიდველი არის სპეციალიზებული რისეღერი, ინტერესთა განაწილება, როგორც წესი, გამოიყურება იმგვარად, რომ მყიდველი ეყრდნობა რისეღერის იმ განსაკუთრებულ გამოცდილებასა და სპეციალურ ცოდნას, რომელიც თავად მას არ აქვს. ამდენად, მას აქვს უფლება, ჰქონდეს ნდობა, რომ ნივთის თვისებების შეთანხმებისას გამყიდველი იძლევა გარანტიას.⁴⁵ თუ მეორადი ავტომობილის გამყიდველი (რომელიც არის მეწარმე) ირწმუნება, რომ გასაყიდი ავტომობილი გამართულია და დაუყოვნებლივ შეიძლება იქნეს გამოყენებული საგზაო მოძრაობაში, ის ამით იძლევა გარანტიას, რომ ავტომობილს არ ახასიათებს საგზაო მოძრაობისთვის საფრთხის შემქმნელი იმგვარი ნაკლი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ამ ავტომობილით გადაადგილების აკრძალვის განკარგულების გამოცემა შესაბამისი ორგანოს მხრიდან.⁴⁶

ამის საწინააღმდეგოდ, კერძო ნასყიდობისას, თვისებების აღწერა, უმეტესად, არ ეფუძნება გამყიდველის განსაკუთრებულ გამოცდილებასა და სპეციალიზებულ ცოდნას და აღნიშნული განცხადებიდან გარანტიის ამოკითხვა შეუძლებელია. გამყიდველის ინტერესი, რომ პასუხი აგოს მხოლოდ იმისათვის, რაზე წვდომაც

⁴³ Pammler in: Herberger / Martinek / Rüßmann / Weth / Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 437 BGB (Stand: 01.02.2023) Rn. 87.

⁴⁴ BGH, Urteil vom 29. November 2006 - VIII ZR 92/06 - BGHZ 170, 86, juris Rn. 22, für Gebrauchtwagenmarkt.

⁴⁵ BGH, Urteil vom 29. November 2006 - VIII ZR 92/06 - BGHZ 170, 86, juris Rn. 23, für Angabe zur Laufleistung eines Kraftfahrzeuges.

⁴⁶ შდრ. BGH, Urteil vom 21. April 1993 - VIII ZR 113/92 - BGHZ 122, 256, juris Rn. 19 ff.

მას აქვს მისი სამოყვარულო ცოდნიდან გამომდინარე და მეტი არაფრისათვის, ზუსტად ისეთივე მნიშვნელოვანი და დასაცავია, როგორც მყიდველის ინტერესები.⁴⁷

III. დამატებითი შესრულების მოთხოვნა

1. საკითხის დასმა

მართალია, ცალსახაა, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მოცულია ყველა ქონებრივი დანაკლისი, რომელიც მიენერება ნივთის ნაკლს, მაგრამ პრობლემურია, რამდენად მოიცავს დამატებითი შესრულების მოთხოვნა აუცილებელი დანახარჯების ანაზღაურებასაც.

რადგანაც დამატებითი შესრულების მოთხოვნა არის პირველადი შესრულების მოთხოვნის მოდიფიცირება, შეკეთების ან ნივთის გამოცვლის ფორმით⁴⁸ (და, ამდენად, არა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა), ეჭვგარეშეა, რომ ის ვერ მოიცავს იმ ქონებრივ დანაკლისს, რომელიც ეხება სხვა სამართლებრივ სიკეთეებს და მათი დაზიანებით არის განპირობებული. მაგალითად, თუ საქონლის საკვების დაბინძურების გამო ნახირი დაიღუპა, ნასყიდობის საგნის განადგურება არ გამოიწვევს მისი სანაცვლო ნივთის მიწოდების ვალდებულებას.⁴⁹ თუმცა აღნიშნული ვალდებულება ვრცელდება ნასყიდობის საგანზე, კერძოდ, საკვებზე, და არ ვრცელდება დაღუპულ ცხოველებზე მაშინაც კი, როდესაც, დაღუპული ჯოგის ანაზღაურების გარეშე, ახალი ნივთის გადაცემა საკვების მოწოდების გზით, ეკონომიკურად აზრს მოკლებულია.

ნაკლებად ერთმნიშვნელოვანია შემთხვევები, როდესაც დამატებითი შესრულება შესაძლებელია შეკეთების ან ნივთის გამოცვლის გზით, თუმცა ნასყიდობის ნაკლოვანი საგანი ამასობაში გადამუშავდა და შეკეთებისთვის ან სანაცვლო ნივთის მოწოდებისთვის (რადგან, დაბინძურებული საკვების წინა მაგალითისგან

განსხვავებით, ნივთი ჯერ კიდევ ობიექტურად გამოცალკევებადია) ჯერ საჭიროა ნივთის დემონტაჟი და მისი ხელახლა ჩაშენება. ამის მაგალითებია, ქვემოთ უფრო დეტალურად აღწერილი, ნასყიდობის ნაკლოვანი ნივთის ნაგებობაში ჩაშენების (ქვემოთ, 2. ბ – პარკეტის ფილების მაგალითი) ან შუალედური პროდუქტის გადამუშავების (ქვემოთ, 2 ა – რკინის უჟანგავი მილების მაგალითი) შემთხვევები.

ეს პრობლემური საკითხი არ არის გადაჭრილი იმით, რომ როგორც საქართველოს (490 II მუხლი), ისე გერმანიის სამოქალაქო კოდექსები შეიცავენ ნორმებს (ამჟამად 439 II პარაგრაფი), რომელთა მიხედვითაც გამყიდველს აკისრია დამატებითი შესრულების მიზნებისთვის საჭირო დანახარჯების, კონკრეტულად, გადაზიდვის, გადაყვანის, შრომისა და მასალების ხარჯები. ეს ნორმები ეხება მხოლოდ იმ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია დამატებით შესრულებასთან, კერძოდ, ემსახურება ამ მიზანს.⁵⁰ თუმცა ის არაფერს ამბობს დამატებითი შესრულების მოთხოვნის შინაარსზე და, განსაკუთრებით, არ აფართოებს მის ფარგლებს გსკ-ის 439 I პარაგრაფით დადგენილი ჩარჩოს მიღმა.⁵¹ ამდენად, აღნიშნული თემატიკა ეხება არა გსკ-ის 439 II პარაგრაფის (შედარებადია სკ-ის 490 II მუხლთან) გამოყენების სფეროს, არამედ უპირატესი მნიშვნელობის საკითხს, შესრულების რა პირველად ვალდებულებებს მოიცავს დამატებითი შესრულება. გსკ-ის 439 II პარაგრაფი ადგენს ასანაზღაურებელი დანახარჯების მასშტაბს მხოლოდ იმ შემთხვევისათვის და იმ ფარგლებში, რამდენადაც ეს ვრცელდება ნასყიდობის უკვე გადამუშავებული და ნაკლოვანი ნივთის დემონტაჟსა და შემდგომ ჩაშენებაზე.

ამასთან, არ არის თავისთავად ცხადი, რომ დამატებითი შესრულების მოთხოვნა მოიცავს ამგვარ დემონტაჟსა და ხელახლა ჩაშენებას. როგორც უკვე მიეთითა, დამატებითი შესრულება წარმოადგენს პირველადი შესრულების

⁴⁷ BGH, Urteil vom 29. November 2006 - VIII ZR 92/06 - BGHZ 170, 86, juris Rn. 25.

⁴⁸ BGH, Urteil vom 13. April 2011 - VIII ZR 220/10 - BGHZ 189, 196, juris Rn. 49 f.; BGH, Urteil vom 14. Februar 2020 - V ZR 11/18 - BGHZ 225, 1, juris Rn. 51 ff.; BGH, Vorlagebeschluss vom 13. März 2020 - V ZR 33/19 - ZIP 2020, 1073, juris Rn. 34.

⁴⁹ Staudinger/Bach (2023) BGB § 439 Rn. 121.

⁵⁰ შდრ. BGH, Urteil vom 30. April 2014 - VIII ZR 275/13 - BGHZ 201, 83, juris Rn. 15; BGH, Urteil vom 24. Oktober 2018 - VIII ZR 66/17 - BGHZ 220, 134 juris Rn. 87 ff.

⁵¹ შდრ. BGH, Urteil vom 15. Juli 2008 - VIII ZR 211/07 - BGHZ 177, 224, juris Rn. 32.

მოთხოვნის მოდიფიცირებულ ვერსიას. თუმცა, შესრულების თავდაპირველი მოთხოვნა, ნასყიდობის ნივთის შემთხვევაში, მიემართება მხოლოდ უნაკლო ნივთზე საკუთრების გადაცემას; ამის საპირისპიროდ, შემდგომი გადამუშავება უკვე გამყიდველის რისკია და მისი პასუხისმგებლობის სფეროში ექცევა.

აღნიშნულის მხედველობაში მიღებით, გამოიყენება შემდეგი პრინციპები:

2. სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოსა და გერმანიაში

გერმანიაში დამატებითი შესრულების ფარგლების კანონისმიერი რეგულირება 2001 წლამდე არსებითად შეესაბამებოდა ქართულ სამართლებრივ მოწესრიგებას. შემდეგ, როგორც ევროკავშირის სამომხმარებლო პროდუქტების ნასყიდობის დირექტივამ, ისე საქონლის ნასყიდობის დირექტივამ (აღნიშნულზე ზემოთ, I) განაპირობა საკანონმდებლო ცვლილებები. გერმანელი კანონმდებელი გასცდა, მხოლოდ სამომხმარებლო ნასყიდობით შეზღუდული, ევროპული დირექტივის მოთხოვნებს და ისინი ნასყიდობის ხელშეკრულების ყველა ტიპზე გაავრცელა.

ამიტომაც, შემდგომში წარმოდგენილია არა მხოლოდ ამჟამინდელი გერმანული სამართლებრივი მდგომარეობა, არამედ, ასევე, წარსულში მოქმედ ნორმებზე დაყრდნობით (რომელიც შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსს) განვითარებული სასამართლო პრაქტიკა.

ა) გერმანიაში ამჟამად მოქმედი რეგულაციები

გსკ-ის 439-ე პარაგრაფთან დაკავშირებით, მოქმედი გერმანული სასამართლო პრაქტიკის ამოსავალი წერტილი არის ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2011 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება.⁵² აღნიშნულ გადაწყ-

ვეტილებაში ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ, სამომხმარებლო ნასყიდობასთან მიმართებით, დაადგინა შემდეგი:

„1999/44 დირექტივის (ავტორის შენიშვნა: სამომხმარებლო პროდუქტების ნასყიდობის დირექტივა) 3 II, III მუხლი სამომხმარებლო პროდუქტების ნასყიდობისა და გარანტიების ცალკეულ ასპექტებთან დაკავშირებით უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ, თუ ხელშეკრულებასთან შეუსაბამობა უნდა აღმოიფხვრას [ჯეროვანი შესრულება უნდა განხორციელდეს] ნივთის გამოცვლით, მაგრამ ნაკლოვანი ნივთი მომხმარებელმა, ნაკლის გამოვლენამდე, კეთილსინდისიერად, ნივთის სახეობისა და მისი გამოყენების მიზნის შესაბამისად, უკვე ჩააშენა [სხვა ნივთში], გამყიდველი ვალდებულია, ან თავად გამოაცალკევოს სამომხმარებლო პროდუქტი იმ ნივთისგან, რომელშიც პროდუქტი ჩაშენდა და გამოცვლისთვის განკუთვნილი სამომხმარებლო პროდუქტი ამ ნივთში თავიდან ჩააშენოს ან აანაზღაუროს დანახარჯები, რაც საჭიროა ამ გამოცალკევებისა და გამოცვლისთვის განკუთვნილი სამომხმარებლო პროდუქტის ჩაშენებისთვის. გამყიდველის აღნიშნული ვალდებულება არსებობს იმისგან დამოუკიდებლად, ნასყიდობის ხელშეკრულებით, თავიდანვე ეკისრებოდა თუ არა მას, ნაყიდი სამომხმარებლო პროდუქტის ჩაშენება.

აღნიშნული განმარტება შეესაბამება დირექტივის მიზანს, რომლის მოტივიც და მიზანიც არის მომხმარებლის დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა. იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების არც ერთი მხარე არ მოქმედებდა ბრალეულად, გამართლებულია გამყიდველს დაეკისროს ხელშეკრულების არაჯეროვანი სამომხმარებლო პროდუქტის დემონტაჟისა და მიწოდებული ახალი პროდუქტის ჩაშენების ხარჯები, რადგან ეს დამატებითი ხარჯები საერთოდ არ წარმოიშობოდა, გამყიდველს მანამდე სახელშეკრულებო ვალდებულებები ჯეროვნად რომ შეესრულებინა, ხოლო ამ მოცემუ-

⁵² EuGH, Urteil vom 16. Juni 2011 - C-65/09 und C-87/09 - NJW 2011, 2269; ტექსტის ინგლისური ვერსიისათვის იხ.: <https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?ses>

sionid=EFC1CAE2B34F9F0F131B3AA22DCC9EB3?text=&docid=85085&pageIndex=0&doclang=EN&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=2819290.

ლობაში ეს ხარჯები აუცილებელია სამომხმარებლო პროდუქტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში მოსაყვანად.

თუ გამყიდველი თავად არ ახორციელებს ხელშეკრულებასთან შეუსაბამო სამომხმარებლო პროდუქტის დემონტაჟსა და გამოსაცვლელად მიწოდებული სამომხმარებლო პროდუქტის ჩაშენებას, ნაციონალურმა სასამართლომ უნდა განსაზღვროს დემონტაჟისა და ჩაშენებისთვის საჭირო ის ხარჯები, რომელთა მოთხოვნაც შეუძლია მომხმარებელს.⁵³

ზემოთ თქმულის საფუძველზე, გერმანიის ფედერალური სასამართლო, მის 2023 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებაში⁵⁴, შეეხო გსკ-ის 439 III მუხლის განმარტებას.⁵⁴ გადაწყვეტილება, არსებითად, დაეყრდნო საქმის შემდეგ გარემოებებს:

მოსარჩელემ მოპასუხეს შეუკვეთა რკინის უჟანგავი მილები საზღვაოსნო სერტიფიკატით, რაზე დაყრდნობითაც, მათ შორის, დასაშვებია მილების გემთმშენებლობისთვის გამოყენება. მოსარჩელეს მილები ესაჭიროებოდა გემების მილგაყვანილობის სისტემებში ჩასაშენებლად, თხევადი ბუნებრივი აირის ტრანსპორტირების მიზნით. მილების მოწოდების შემდეგ მოსარჩელემ დაიწყო მილგაყვანილობის სისტემის მომზადება, კერძოდ, მათი ე. წ. მილსადენის კოჭად შედუღების გზით. ამ პროცესში მან აღმოაჩინა მილების მასალის ნაკლი და დაშალა მილსადენის კოჭი. მას შემდეგ, რაც მოპასუხემ მიაწოდა უნაკლო რკინის უჟანგავი მილები, მოსარჩელემ გააგრძელა მილსადენის კოჭების დამზადება.

სარჩელით მოსარჩელემ მოითხოვა, ზემოთ აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, დამატებითი დანახარჯების ანაზღაურება.

პირველ რიგში, ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელეს არ ჰქონდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მოპასუხის წინააღმდეგ, რადგან ნივთის ნაკლი არ

იყო გამონვეული ამ უკანასკნელის ბრალით და მას პროდუქტის მწარმოებლის ბრალი, გსკ-ის 278-ე პარაგრაფის შესაბამისად, ვერ შეეცდებოდა (იხ. ამასთან დაკავშირებით ზემოთ, II, 2). გსკ-ის 439-ე პარაგრაფის შემდგომ განმარტებასთან დაკავშირებით ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ჩაშენებისათვის არ არის გადამწყვეტი, იქცა თუ არა ნასყიდობის საგანი, სანივთოსამართლებრივი კრიტერიუმების თანახმად, სხვა ნივთის არაარსებით ნაწილად ან წარმოიშვა თუ არა მასზე ახალი საკუთრება გსკ-ის 950-ე პარაგრაფის (ეს რეგულაციები შედარებადია სკ-ის 194 I მუხლთან) მიხედვით.⁵⁵ ამის საპირისპიროდ, გსკ-ის 439 III პარაგრაფი მოიცავს ჩაშენების ყველა სახეს; კერძოდ იმ შემთხვევასაც, როდესაც საქმე შუალედურ პროდუქტს ეხება.⁵⁶

ბ) ადრინდელი სამართლებრივი მდგომარეობა გერმანიაში

გსკ-ის 439 III პარაგრაფის ძალაში შესვლამდე, ისევე, როგორც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ 2011 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილების მიღებამდე, გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით განსხვავებულ პოზიციას იზიარებდა. მან, მართალია, ამჟამად დაუშვა, რომ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების გამო, სამომხმარებლო ნასყიდობის დროს ნაციონალური ნორმის დირექტივის შესატყვისი განმარტებაა საჭირო, რის შედეგადაც „უნაკლო ნივთის მოწოდება“ ასევე ჩაშენებასა და ნასყიდობის ნაკლოვანი ნივთის წამოღებას მოიცავს,⁵⁷ თუმცა, ამასთან, ნაწილობრივ ძალაში დატოვა უწინდელი პრაქტიკა⁵⁸ და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ აღნიშნული არ ეხება

⁵³ BGH, Urteil vom 21. Juni 2023 - VIII ZR 105/22 - BGHZ 237, 217.

⁵⁴ გადაწყვეტილება ეხებოდა წინა საკანონმდებლო რედაქციას. თუმცა ეს არ მოქმედებს გადაწყვეტილების არსებით საფუძველზე.

⁵⁵ BGH, Urteil vom 21. Juni 2023 - VIII ZR 105/22 - BGHZ 237, 217, juris Rn. 26 und 57.

⁵⁶ BGH, Urteil vom 21. Juni 2023 - VIII ZR 105/22 - BGHZ 237, 217, juris Rn. 57.

⁵⁷ BGH, Urteil vom 21. Dezember 2011 - VIII ZR 70/08 - BGHZ 192, 148, juris Rn. 25 ff.; BGH, Urteil vom 17. Oktober 2012 - VIII ZR 226/11 - BGHZ 195, 135, juris Rn. 16.

⁵⁸ BGH, Urteil vom 15. Juli 2008 - VIII ZR 211/07 - BGHZ 177, 224, juris Rn. 10 ff., 17 ff.

შემთხვევებს, როდესაც ნაციონალური მოწესრიგების დირექტივის შესაბამისი განმარტება საჭირო არ არის: არ ეხება ნასყიდობის იმ ხელშეკრულებებს, რომლებზეც არ ვრცელდება მომხმარებელთა დაცვის სამართალი.⁵⁹ დამატებითი შესრულების შინაარსთან დაკავშირებული აღნიშნული მიდგომისთვის ფუნდამენტურია 2008 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებაში⁶⁰ მოცემული განმარტებები. მოცემული გადაწყვეტილება, არსებითად, ეყრდნობოდა საქმის შემდეგ გარემოებებს:

მოსარჩელემ ხის მასალის რისკული მოპასუხისგან იყიდა პარკეტის ორფენოვანი ფილები, რომლებიც მან სახლის სასტუმრო და სასაბუღალტრო ოთახებში ჩაასმევინა. მოგვიანებით, პარკეტის ფილებს აძვრა საფარი (ზედა ფენა) ქვემოთ მოქცეული რბილი ხის ფენის არასაკმარისი წებოვანების გამო. მოსარჩელე მოპასუხისგან ითხოვდა „პარკეტის საფარის გამოცვლას“. მოპასუხეს უკვე დაფარული ჰქონდა ნაკლის მქონე პარკეტის მოშორებისა და განადგურების ხარჯები, დამატებითი სამუშაოების ჩათვლით, და აცხადებდა მზაობას, მიეწოდებინა შემცველი ნივთი. თუმცა ის უარს ამბობდა, ახალი პარკეტის დაგების ხარჯების კისრებაზე.

წინარე სასამართლო პრაქტიკასა და სამეცნიერო ლიტერატურაში სადავოდ ქცეული საკითხი გერმანიის ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ გადაწყვიტა იმგვარად, რომ მოპასუხეს, ჩამნაცვლებელი ნივთის მოწოდებისას, მხოლოდ უნაკლო ნივთისა და მასზე საკუთრების გადაცემა ეკისრება და, დამატებითი შესრულების ფარგლებში, მაშინაც კი არ არის ვალდებული დაამონტაჟოს ეს ნივთი ან გაიღოს შესაბამისი ხარჯები, როდესაც მყიდველმა პარკეტის ნაკლოვანი ფილები უკვე დააგო [და ახალი ფილები ხელმეორედ აქვს დასაგები].⁶¹ როგორც ეს ზემოთ უკვე აღინიშნა, დამატებითი შესრულების მოთხოვნის შემთხვევაში, საკითხი ეხება ნასყიდობიდან გამომდინარე თავდაპირველი

მოთხოვნის მოდიფიცირებას. ამდენად, ორივე მოთხოვნა, შინაარსობრივად, გამყიდველის მიერ ნაკისრი შესრულებების იდენტური შინაარსის მატარებელია. აღნიშნულის შედეგია ის, რომ გამყიდველმა თავდაპირველად მიწოდებული ნასყიდობის ნაკლოვანი საგნის ნაცვლად ამჯერად უნდა მიაწოდოს უნაკლო – თუმცა, სხვა მხრივ, იგივენაირი და იმავე ღირებულების – ნივთი. ეს მოითხოვს შესრულების პროგრამის სრულად გამეორებას, კერძოდ, უნაკლო ნივთზე მფლობელობისა და საკუთრების გადაცემას – არც მასზე ნაკლებს, მაგრამ არც ამაზე მეტს.⁶²

შემდგომ დასაბუთებას გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო ავითარებს იმგვარად, რომ დამატებითი შესრულებით გამყიდველს უნარჩუნდება ბოლო შანსი, შეასრულოს ნასყიდობიდან გამომდინარე ვალდებულება ნაკლის გამოსწორების ან უნაკლო ნივთის მოწოდების გზით – თუნდაც მხოლოდ მეორე ცდაზე – და ამით თავიდან აიცილოს ხელშეკრულების უკუქცევიდან გამომდინარე უარყოფითი ეკონომიკური შედეგები. ქონებრივი დანაკლისი ან დანახარჯები, რომელთა განევაც მყიდველს უნევს იმის გამო, რომ გამყიდველმა უნაკლო ნივთის გადაცემის ვალდებულება პირველივე ცდაზე არ შეასრულა და ეს მხოლოდ მოგვიანებით, მეორე ცდაზე გამოუვიდა, არ უნდა კომპენსირდეს დამატებითი შესრულებით და არ წარმოადგენს მის ნაწილს. აღნიშნული ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურება შესაძლებელია მხოლოდ ზიანის ან დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნის ფარგლებში.⁶³

იგივე ეხება, შუალედში, ნასყიდობის საგნის ნაკლის გამო, ნივთის გამოყენების ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობას, მის ნებისმიერ გამოვლინებაში.⁶⁴ ასევე ნებისმიერ ხარჯს, რომელიც ნასყიდობის საგნის ნაკლის გამო დამატებით წარმოიშვა ან უშედეგოდ იყო გაღებული. მაგა-

⁵⁹ BGH, Urteil vom 2. April 2014 - VIII ZR 46/13 - BGHZ 200, 337, juris Rn. 27; BGH, Urteil vom 17. Oktober 2012 - VIII ZR 226/11 - BGHZ 195, 135, juris Rn 17.

⁶⁰ BGH, Urteil vom 15. Juli 2008 - VIII ZR 211/07 - BGHZ 177, 224.

⁶¹ BGH, Urteil vom 15. Juli 2008 - VIII ZR 211/07 - BGHZ 177, 224, juris Rn. 16 f.

⁶² BGH, Urteil vom 15. Juli 2008 - VIII ZR 211/07 - BGHZ 177, 224, juris Rn. 17.

⁶³ BGH, Urteil vom 15. Juli 2008 - VIII ZR 211/07 - BGHZ 177, 224, juris Rn. 21.

⁶⁴ ამასთან დაკავშირებით: BGH, Urteil vom 28. November 2007 - VIII ZR 16/07 - BGHZ 174, 290, juris Rn. 6 ff.

ლითად, არ ანაზღაურდება ავტომობილის ნასყიდობისას რეგისტრაციისა და გადაცემის ხარჯები, რომლებიც ავტომობილის ნაკლის გამო უსარგებლო აღმოჩნდა და ხელახლა გასაღები სანაცვლოდ მოწოდებული ნივთისთვის.⁶⁵

სხვა გადაწყვეტილებებში გერმანიის ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ, ზემოთ ხსენებულ გადაწყვეტილებაში მითითებული საფუძვლებიდან გამომდინარე, დამატებითი შესრულების მოთხოვნით არ არის მოცული ნასყიდობის ნაკლოვანი და უკვე გადამუშავებული საგნის დემონტაჟის ხარჯები (რაც აქ დავის საგანს არ წარმოადგენდა).⁶⁶

IV. რესტიტუციის ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილი ნივთის უკან წაღების ვალდებულება

საკითხი, თუ რა წინაპირობების არსებობის შემთხვევაში წარმოიშობა ნაკლის მქონე ნასყიდობის საგნის უკან წაღების მოთხოვნა, ნივთის ნაკლის გამო წარმოშობილი რესტიტუციის სამართლებრივ ურთიერთობაში, ზედა ინსტანციების სასამართლო პრაქტიკაში ერთმნიშვნელოვნად პასუხგაცემული არ არის.⁶⁷ ნებისმიერ შემთხვევაში, გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო აღიარებს გამყიდველის ამ ვალდებულების არსებობას მაშინ, როდესაც, ცალკეული შემთხვევის გარემოებებზე დაყრდნობით, მეორე მხარის ინტერესებზე ზრუნვის ზოგადი სახელშეკრულებო ვალდებულება (რომელიც ძალაშია ასევე რესტიტუციის ურთიერთობის ფარგლებში) აფუძნებს [ნაკლოვანი ნივთის] უკან წაღების აუცილებლობას.⁶⁸

გერმანიის ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ ამგვარი ვალდებულება განავითარა

თავის 2023 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებაში:⁶⁹ მოცემულ შემთხვევაში საჭირო გახდა გამყიდველის მიერ დიდი ოდენობით (დაახლოებით 800 სატვირთო მანქანის ტვირთგამწეობის მოცულობის) მიწოდებული დარიშხნის შემცველი [ნაკლი!] უტილიზებასავალდებულო ხრეშის დროებითი განთავსება სამშენებლო ნაკვეთზე იმგვარად, რომ ამ დროის განმავლობაში ხელი შეეშალა ნაკვეთით სარგებლობას და ხრეშის (ეკომეგობრული) განადგურების მოსალოდნელი ხარჯები ნასყიდობის ფასს ბევრად აჭარბებდა. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მიერ დასახელებული საფუძვლების გარდა, უკან წაღების ამგვარი ვალდებულების დაკისრების სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ მოცემული ვალდებულება არ ტვირთავს გამყიდველს რაიმე დამატებითი სახელშეკრულებო რისკით, არამედ დაბინძურებული უტილიზებადი ხრეშის ეკომეგობრული განადგურების ვალდებულებას ისევე იმ მხარეს აკისრებს, რომელსაც მისი ტვირთვა ევალეზობდა უკუქცეულ ნასყიდობამდე.

ზედა ინსტანციების სასამართლო პრაქტიკას ჯერ არ გადაუწყვიტავს საკითხი, მოიცავს თუ არა რესტიტუციის სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში ნივთის უკან წაღების ვალდებულება *გადამუშავებული* [!] ნაკლოვანი ნივთის დემონტაჟსაც. თუმცა, ამ კითხვას, სავარაუდოდ, უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს იმის გათვალისწინებით, რომ, მართალია, რესტიტუციის სამართლებრივ ურთიერთობაში, სინალაგმატური ვალდებულებების შესასრულებლად, მიღებული, უკან უნდა დაბრუნდეს,⁷⁰ ანუ კვაზი უნდა „განეიტრალდეს“, თუმცა გამყიდველის სახელშეკრულებო ვალდებულებებს არ მიეკუთვნება ნასყიდობის საგნის გადამუშავება, ისევე, როგორც მისი ჩაშენება. ამიტომაც, გონივრულია, რომ რესტიტუციის სამართლებრივი

⁶⁵ ამასთან დაკავშირებით: BGH, Urteil vom 20. Juli 2005 - VIII ZR 275/04 - BGHZ 163, 381, juris Rn. 23 ff.

⁶⁶ BGH, Urteil vom 17. Oktober 2012 - VIII ZR 226/11 - BGHZ 195, 135, juris Rn. 24; BGH, Urteil vom 2. April 2014 - VIII ZR 46/13 - BGHZ 200, 337, juris Rn. 27; BGH, Urteil vom 29. November 2023 - VIII ZR 164/21 - ZIP 2024, 301, juris Rn. 17.

⁶⁷ მოსაზრებათა შესახებ ამომწურავად: BGH, Urteil vom 29. November 2023 - VIII ZR 164/21 - ZIP 2024, 301, juris Rn. 30 ff.

⁶⁸ BGH, Urteil vom 29. November 2023 - VIII ZR 164/21 - ZIP 2024, 301, juris Rn. 39 ff.

⁶⁹ BGH, Urteil vom 29. November 2023 - VIII ZR 164/21 - ZIP 2024, 301.

⁷⁰ BGH, Urteil vom 10. Oktober 2008 - V ZR 131/07 - BGHZ 178, 182, juris Rn. 20; BGH, Urteil vom 29. November 2023 - VIII ZR 164/21 - ZIP 2024, 301, juris Rn. 44.

ურთიერთობაც, „სარკისებურად“, ამ დონემდე არ გაფართოვდეს. მოცემულ საკითხს გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოც, სავარაუდოდ, ასე დაინახავდა, რადგან ის თავის ერთი-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ გამყიდველმა ყველაფერი, რაც შესრულების უკან დაბრუნებისთვის იყო აუცილებელი, უკვე გააკეთა ნივთის დემონტაჟითა და ნამოლების შეთავაზებით.⁷¹

C. დელიქტური მოთხოვნები

I. მოთხოვნათა კონკურენცია

ნასყიდობის საგნის ნაკლი, წუნდებული პროდუქტისათვის პასუხისმგებლობის გვერდით, წარმოშობს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებს, ზოგადი დელიქტური შემადგენლობის მიხედვით, ყველა იმ პირის წინააღმდეგ, ვისი ბრალეული ქმედებითაც არის გამოწვეული პროდუქტის წუნი. აღნიშნული დელიქტური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (B. თავში განხილული, ნასყიდობიდან გამომდინარე მოთხოვნებისგან განსხვავებით) არ არის დამოკიდებული უშუალო სახელშეკრულებო ურთიერთობებსა და სახელშეკრულებო დაცვით ვალდებულებებზე. მოვალის იდენტიფიკაციის შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გამყიდველი პასუხისმგებელია როგორც ხელშეკრულებიდან, ისე დელიქტიდან, დელიქტური და სახელშეკრულებო მოთხოვნები ერთმანეთთან მოთხოვნათა „ნამდვილ“ კონკურენციაში არიან.⁷²

მოთხოვნათა აღნიშნული კონკურენციის პრაქტიკულ აქტუალურობაზე დასაწყისში უკვე მიეთითა (თავი A.). მოთხოვნათა ნამდვილი კონკურენცია, სამართლებრივი თვალსაზრისით,

ინვესტს იმას, რომ, ძირითადად, უპირატესობა არ ენიჭება არც დელიქტურ და არც სახელშეკრულებო მოთხოვნებს. ეს გულისხმობს, რომ თითოეული მოთხოვნა უნდა შეფასდეს მისი წინაპირობებისა და შინაარსის შესაბამისად და თითოეული საკუთარ წესებს ემორჩილება.⁷³ ამდენად, ზიანის ანაზღაურების დელიქტური მოთხოვნის ხანდაზმულობაზე ვრცელდება დელიქტური სამართლისთვის გათვალისწინებული რეგულაციები. ნაკლოვანი შესრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობის მნიშვნელოვნად შემოკლებული ვადები, როგორც წესი, არ ეხება ზიანის ანაზღაურების დელიქტურ მოთხოვნებს.⁷⁴

პრობლემატურია ასევე საკითხი, თუ რამდენად ვრცელდება, ზოგადად პასუხისმგებლობისა და ნაკლოვანი შესრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების გამორიცხვასთან დაკავშირებული, ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესები ასევე დელიქტურ მოთხოვნებზე და რა ფარგლებში რჩება ისინი ამ გაგებით ძალაში (ნამდვილია). თუმცა აღნიშნული თემატიკა მიემართება არა ზემოთ დასმულ საკითხს, ნასყიდობის საგნის ნაკლის გაფართოებას [და სხვა სიკეთეებზე გადადებას], არამედ ხელშეკრულების განმარტებას და – თუკი პირობები წინასწარ არის ჩამოყალიბებული – სტანდარტული პირობების სამართალს. ამდენად, აღნიშნულ თემატიკას აქ მხოლოდ მოკლედ შევეხებით.

უპირველესად, მოქმედებს ზოგადი პრინციპი, რომ პასუხისმგებლობის გამომრიცხავი პირობები, როგორც გამონაკლისი დისპოზიციური ნორმებიდან წარმომდგარი პასუხისმგებლობიდან, ზოგადად, ვიწროდ უნდა განიმარტოს.⁷⁵ თუკი აღნიშნულზე შეთანხმება სტანდარტული

⁷¹ BGH, Urteil vom 29. November 2023 - VIII ZR 164/21 - ZIP 2024, 301, juris Rn. 51.

⁷² ერთხმის პოზიცია; BGH, Urteil vom 24. Mai 1976 - VIII ZR 10/74 - BGHZ 66, 315, juris Rn. 6 ff.; BGH, Urteil vom 11. Februar 2004 - VIII ZR 386/02 - NJW 2004, 1032, juris Rn. 12; BGH, Vorlagebeschluss vom 13. März 2020 - V ZR 33/19 - ZIP 2020, 1073, juris Rn. 50; Wilhelmi in: Erman BGB, Kommentar, 17. Auflage 2023, § 823 BGB Rn. 86; Lange/Hansen in: Herberger / Martinek / Rüßmann / Weth / Würdinger, jurisPK-BGB, 10. Aufl., § 823 Abs. 1 BGB (Stand: 11.08.2023) Rn. 135.

⁷³ BGH, Vorlagebeschluss vom 13. März 2020 - V ZR 33/19 - ZIP 2020, 1073, juris Rn. 50; BGH, Urteil vom 23.

Februar 2021 - VI ZR 21/20 - NJW 2021, 1883, juris Rn. 10.

⁷⁴ სრულად: BGH, Urteil vom 27. Januar 2005 - VII ZR 158/03 - BGHZ 162, 86, juris Rn. 32; BGH, Urteil vom 3. Februar 1998 - X ZR 27/96 - NJW 1998, 2282, juris Rn. 15; შდრ. სპეციალური შემთხვევის სახით: BGH, Beschluss vom 16. Februar 1993 - VI ZR 252/92 - NJW-RR 1993, 793, juris Rn. 3, dazu unten II. 2.

⁷⁵ შდრ. BGH, Urteil vom 26. April 2017 - VIII ZR 233/15 - NJW 2017, 3292, juris Rn. 24; BGH, Urteil vom 6. April 2016 - VIII ZR 261/14 - NJW 2016, 2495, juris Rn. 21; OLG Celle, Urteil vom 20. Dezember 2023 - 7 U 1742/19 - juris Rn. 21.

პირობების ნაწილია, ყოველგვარი ეჭვი მისი მოქმედების ფარგლებთან დაკავშირებით, გსკ-ის 305c II პარაგრაფის (შედარებადია სკ-ის 345-ე მუხლთან) მიხედვით, უნდა გაფანტოს სტანდარტული პირობის წამყენებელმა. აქედან გამომდინარე, როგორც ყოფითი, ისე სამართლებრივი ტერმინოლოგიის გაგებით, „ნივთის ნაკლისთვის პასუხისმგებლობიდან“ გამომდინარე მოთხოვნების გამორიცხვა მოიცავს მხოლოდ ნაკლიდან წარმომდგარ (ნასყიდობის სამართლებრივ) მოთხოვნებს და არა - ზიანის ანაზღაურების დელიქტურ მოთხოვნებს.⁷⁶

II. ინტეგრულობის (არსებული სიკეთეების შენარჩუნების) ინტერესი/ექვივალენტურობის ინტერესი

1. მთავარი პრინციპი

ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ის, რომ უპრობლემო სახელშეკრულებო და დელიქტური მოთხოვნების გვერდი-გვერდ თანაარსებობა. თუმცა უკვე პრობლემურია საკითხი, თუ ზუსტად რომელ ქონებრივ დანაკლისს მოიცავს (მხოლოდ ინტეგრულობის ინტერესით შემოსაზღვრული) დელიქტური პასუხისმგებლობა.

ა) სამართლებრივი მდგომარეობის შედარება საქართველოსა და გერმანიაში

აღნიშნული თემატიკა ზუსტად ისევე აქტუალურია ქართულ სამართალში, როგორც გერმანულში.

მართალია, ქართული სამართალი, გსკ-ის 823 I პარაგრაფისგან განსხვავებით, დელიქტურ დაცვას არ ზღუდავს აბსოლუტურად დაცული სიკეთეებით, კერძოდ, პირველ რიგში, სიცოცხლით, ჯანმრთელობითა და საკუთრებით და ა. შ. თუმცა განსახილველი საკითხი ეხება

არა დაცული სამართლებრივი სიკეთეების სახეს (მაგ., მხოლოდ საკუთრება თუ ასევე სხვა ქონებრივი სიკეთეები), არამედ – ასევე სკ-ის 992-ე მუხლისთვის იმანენტურ (იხ. დანვრილებით ქვემოთ, 2.) – ზღვარს, დელიქტური სამართლით დაცულ ინტეგრულობის ინტერესსა და მისი დაცვის მიღმა დატოვებული შესრულების (ექვივალენტურობის [კრედიტორის ინტერესი საკუთარ ქონებაში მიიღოს და ეს ქონება გაზარდოს მოვალის შესრულების ღირებულებით]) ინტერესს შორის.⁷⁷

ბ) გამიჯვნის ძირითადი კრიტერიუმები

ნივთის გაუფასურება, რომელიც გამონვეულია მისი ნაკლით, ეხება მხოლოდ და მხოლოდ ექვივალენტობის ინტერესს და, ამდენად, არ არის დელიქტური წესით დაცული.⁷⁸ ამის საპირისპიროდ, სხვა სამართლებრივი სიკეთეების დაზიანება, რომელიც ნასყიდობის საგნის ნაკლით არის გამონვეული, ეხება ინტეგრულობის ინტერესს [ნაკლოვანი საგნის მიმღების სხვა, უკვე არსებული სიკეთეების შენარჩუნების ინტერესს] და, ამდენად, მოცულია როგორც სახელშეკრულებო მოთხოვნებით, ისე გსკ-ის ზოგადი დელიქტური დანაწესებით.⁷⁹

(გერმანიის) პროდუქტისთვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 1 I 1 პარაგრაფისგან განსხვავებით, აღნიშნული მოქმედებს მაშინაც კი, როდესაც ნასყიდობის საგნის ნაკლოვანების გამო, დაზიანებული სამართლებრივი სიკეთე ნასყიდობის საგანთან დაკავშირებული იყო ამ უკანასკნელის მიზნობრიობიდან გამომდინარე.⁸⁰ ამდენად, დელიქტური სამართლის გამოყენების ზოგად სფეროს მიეკუთვნება ყველა ის შემთხვევა, როდესაც ხელყოფილია ნებისმიერი იმ სამართლებრივი სიკეთის ინტეგრულობა („მთლი-

⁷⁶ OLG Stuttgart, Urteil vom 10. September 2021 - 23 U 519/21 - juris Rn. 49; OLG Celle, Urteil vom 20. Dezember 2023 - 7 U 1742/19 - juris Rn. 22.

⁷⁷ აღნიშნულზე ზოგადად: BGH, Urteil vom 18. Januar 2011 - VI ZR 325/09 - BGHZ 188, 78, juris Rn 8; BGH, Urteil vom 10. Januar 2023 - VI ZR 67/20 - VersR 2023, 729, juris Rn. 17; BGH, Beschluss vom 9. Juni 2020 - VIII ZR 315/19 - NJW 2020, 3312, juris Rn. 25.

⁷⁸ BGH, Urteil vom 6. Juli 2021 - VI ZR 40/20 - BGHZ 230, 224, juris Rn. 14; BGH, Urteil vom 18. Januar 2011 - VI ZR 325/09 - BGHZ 188, 78, juris Rn. 9; BGH, Urteil vom

10. Januar 2023 - VI ZR 67/20 - VersR 2023, 729, juris Rn. 17; BGH, Urteil vom 23. Februar 2021 - VI ZR 21/20 - NJW 2021, 1883, juris Rn. 16 f., მომსახურების ნაკლოვანი შესრულებისთვის.

⁷⁹ მდრ., მაგალითად: BGH, Urteil vom 21. März 2023 - VI ZR 1369/20 - MDR 2023, 774, juris Rn. 14 ff.

⁸⁰ ამასთან დაკავშირებით *Katzenmeier/Voigt* in: *Katzenmeier/Voigt*, ProdHaftG, 7. Aufl. 2020, § 1 ProdHaftG Rn. 14; OLG Stuttgart, Urteil vom 24. September 2009 - 7 U 89/09 - NZM 2010, 626, juris Rn. 27.

ანობა”), რომელსაც, ნასყიდობის ნაკლოვანი საგანი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოყენების შემთხვევაში, რაიმე ფორმით მაინც დაუკავშირდებოდა. მაგალითად უთითებენ შემთხვევაზე, როდესაც სასუქი, რომელსაც მცენარეების ზრდისთვის უნდა შეეწყო ხელი, ჰერბიციდებით იყო დაბინძურებული, რამაც ეს მცენარეები საერთოდ გაანადგურა.⁸¹

გ) შერევა/ჩაშენება

თუმცა გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ საკუთრების უფლების ხელყოფა (და ამით - დელიქტური პასუხისმგებლობა) უარყო იმ შემთხვევისათვის, როდესაც ნასყიდობის საგნის შერევა ხდება სხვა პროდუქტთან იმგვარად (შდრ. გსკ-ის 947-ე პარაგრაფი, შედარებადი სკ-ის 194 I 2 მუხლის), რომ შერეულ პროდუქტებზე წინარე საკუთრება წყდება და წარმოიქმნება ახალი ნივთი.⁸² აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ, ნაწილობრივ, (სამართლიანი) კრიტიკა დაიმსახურა.⁸³ მართალია, სწორია გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს განმარტება, რომ ასეთ შემთხვევაში ნაკლოვან პროდუქტზე საკუთრება არსებობას წვეტს არა ნაკლის, არამედ შერევის შედეგად, და შერევის შედეგად შექმნილი ახალი პროდუქტი თავიდანვე ნაკლოვანია.

თუმცა, ამგვარ, წმინდა სანივთოსამართლერივ მიდგომას მხედველობიდან რჩება ის გარემოება, რომ სანივთოსამართლერივ მოწესრიგების ფუნქცია არის საკუთრებიდან გამომდინარე სამართლერივი პოზიციების სამართლერივად ცალსახა და გამართლებული მიკუთვნება. აქ კი საკითხი ეხება მიჯნას დელიქტურ და სახელშეკრულებო დაცვას შორის, კერძოდ, წმინდა ვალდებულებით და არა – სანივთოსამართ-

ლერივ თემატიკას. ამდენად, გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო თანმიმდევრული იყო, როდესაც, 2023 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებაში, საკითხი, იყო თუ არა სახეზე ჩაშენება გსკ-ის 439 III პარაგრაფის მიხედვით, აღარ გადაწყვიტა სანივთოსამართლერივ პერსპექტივაზე დაყრდნობით.⁸⁴ გერმანულმა სასამართლომ თავის სხვა გადაწყვეტილებებშიც ხაზი გაუსვა იმას, რომ ინტეგრულობისა და ექვივალენტურობის ინტერესებს შორის მიჯნის გავლებისთვის, სანივთოსამართლერივი პოზიციების მიმკუთვნებელი რეგულაციები ყოველთვის გადამწყვეტი ვერ იქნება (ავტორის აზრით ეს დათქმა, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სავარაუდოდ უნდა განიმარტოს: „საერთოდ ვერ იქნება“).⁸⁵

2. სხვა სამართლერივი სიკეთების ხელყოფა

გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მიერ (ალბათ, არასწორად) დანახული პრობლემის მიღმა, სხვა შემთხვევებში, ეჭვგარეშეა, რომ ზიანის ანაზღაურების დელიქტური მოთხოვნა გსკ-ის 823 I პარაგრაფის მიხედვით, სახეზეა მაშინ, როდესაც ნასყიდობის საგნის ნაკლი ინვეს (ბრალი, მიზეზობრივი კავშირი, შერაცხვა ნორმის დაცვითი მიზნიდან გამომდინარე და ა. შ.) სხვა აბსოლუტურად დაცული სამართლერივი სიკეთის დაზიანებას.

ა) სამართლერივი მდგომარეობის შედარება საქართველოსა და გერმანიაში

როგორც უკვე აღინიშნა, გერმანული დელიქტური სამართლის კონცეფცია განსხვავდება ქართული დელიქტური სამართლის მიდგომისა-

⁸¹ BGH, Urteil vom 21. März 2023 - VI ZR 1369/20 - MDR 2023, 774, juris Rn. 14. სხვა მაგალითია, როგორც ეს მე-3 თავში არის განხილული, როდესაც მოტორიანი საშუალების სანავის ავზი ნაკლოვანია და, ამის გამო, მასში მოხვედრილი სანავი იღვრება.

⁸² BGH, Urteil vom 11. Januar 1978 - VIII ZR 1/77 - NJW 1978, 1051, juris Rn. 12, ბათქაშის მისაღებად ნაკლიანი ქვიშისა და სხვა ნაკლის არმქონე სამშენებლო მასალების შერევისთვის; თუმცა, განსხვავებულად უნდა გადაწყდეს სხვა მოძრავ ნივთში ჩაშენების შემთხვევა: BGH, Urteil vom 31. März 1998 - VI ZR 109/97 - BGHZ

138, 230, juris Rn. 19 ff.: ტრანზისტორი ავტომობილის ცენტრალური საკეტი სისტემის შემთხვევაში.

⁸³ შდრ. კრიტიკის შეჯამებისთვის: Staudinger/Hager (2017) § 823 BGB, Die geschützten Rechtsgüter und Rechte, Rn. B 108.

⁸⁴ BGH, Urteil vom 21. Juni 2023 - VIII ZR 105/22 - BGHZ 237, 217, juris Rn. 50.

⁸⁵ BGH, Urteil vom 31. März 1998 - VI ZR 109/97 - BGHZ 138, 230, juris Rn. 20; vgl. auch BGH, Urteil vom 8. Dezember 1987 - VI ZR 53/87 - BGHZ 102, 322, juris Rn. 19, ზიანის ანაზღაურების ზოგადი თემატიკისთვის.

გან იმ გაგებით, რომ სკ-ის 992-ე მუხლი დელიქტური დაცვით უზრუნველყოფს და აღჭურავს ყველა ქონებრივ პოზიციას, მაშინ როდესაც, გსკ-ის 823 I პარაგრაფი იცავს მხოლოდ აბსოლუტურ სამართლებრივ სიკეთეებს, როგორიცაა ჯანმრთელობა, სიცოცხლე და საკუთრება.

თუმცა, მოცემულ კონტექსტში ეს განსხვავება უმნიშვნელოა, რადგან საკითხი ეხება არა საკუთრებისა და ზოგადად ქონების დაცვას შორის გამიჯვნას, არამედ ინტეგრულობისა და ექვივალენტურობის (შესრულების) ინტერესებს შორის მიჯნის დადებას. ამ გაგებით, ქართული სამართლისთვისაც ძალაშია პრინციპი, რომ სკ-ის 992-ე მუხლი იცავს მხოლოდ ინტეგრულობის ინტერესს და არ იცავს სახელშეკრულებო შესრულების ინტერესს. ქვემოთ, გერმანული სამართლის მიხედვით განხილული „საკუთრების ხელყოფა“, ქართულ სამართალში უნდა გადმოვიტანოთ, როგორც „სკ-ის 992-ე მუხლით დაცული ინტეგრულობის ინტერესის ხელყოფა“.

ბ) საკუთრების ხელყოფის წინაპირობა (ინტეგრულობის ინტერესის დაზიანება)

დელიქტური პასუხისმგებლობის გამომწვევი საკუთრების ხელყოფის (ქართულ სამართალში შინაარსობრივად: ინტეგრულობის ინტერესის ხელყოფის) წინაპირობას არ წარმოადგენს [ნაკლოვანი ნივთის გარდა] სხვა სამართლებრივი სიკეთის სუბსტანციის ხელყოფა. ამის საპირისპიროდ, საკმარისია, თუ ნასყიდობის ნაკლიანი საგნით სხვა სამართლებრივი სიკეთის დანიშნულებისამებრ გამოყენება არაუმნიშვნელო ხარისხით ფერხდება/შეუძლებელი ხდება.⁸⁶

თუმცა, შიგადაშიგ, შესაძლოა თავი იჩინოს რთულად გადაფარვამ ინტეგრულობისა და ექვივალენტურობის ინტერესებს შორის და რთულად გამიჯვნადობის პრობლემამ. აღნიშნული – საქართველოს, როგორც ღვინის ქვეყნის, თავისებურების გათვალისწინებით – უნდა განვიხილოთ გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასა-

მართლოს უკვე საკმაოდ ძველი გადაწყვეტილების მაგალითზე.⁸⁷ საქმის ფაქტობრივი გარემოებები (აქ წარმოდგენილია გამარტივებული სახით) იყო შემდეგი:

მოსარჩელე იყო ღვინის სანარმოს მფლობელი. სამართლებრივ დავაში ის საცობის მიმწოდებლისგან ითხოვდა იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც გამოიწვია ღვინის ბოთლის ნაკლიანმა საცობებმა. აღნიშნული საცობებით მოსარჩელემ დაბეჭდა მის მარანში ჩამოსხმული ღვინის 45 000 ბოთლი. აქედან მან მოასწრო 10 000 ბოთლის გაყიდვა, რომლებიც მყიდველებმა მოგვიანებით უკან დაუბრუნეს იმ მიზეზით, რომ საცობები არ იყო საკმარისად სქელი და მათზე ობი წარმოიქმნა. დარჩენილი 35.000 ბოთლი მოსარჩელემ ობის დაგროვების გამო საერთოდ ვეღარ გაყიდა.

მოსარჩელემ მიუთითა იმ ფაქტზე, რომ ღვინის რეალიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ ის ხელახლა ჩამოიხმებოდა და ახალი და უნაკლო საცობებით დაიბეჭდებოდა. თუმცა ამას დასჭირდებოდა ხარჯები, რომელთა ოდენობა გადააჭარბებდა მოსალოდნელ მოგებას. სარჩელით ის ითხოვდა უკვე ჩამოსხმული ღვინის ღირებულების ანაზღაურებას, რომელიც, თავის მხრივ, ღვინის საცობების საბაზრო ფასს დაახლოებით 30-ჯერ აღემატებოდა.

გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ არ მიიჩნია, რომ აქ ღვინოზე საკუთრების ხელყოფასთან გვექონდა საქმე, საცობებზე ობის დაგროვების მიზეზით გამოწვეული ღვინის გაყიდვის შეუძლებლობის გამო. აქ სახეზე იყო, მხოლოდ და მხოლოდ, ნაკლოვანი საცობების გამაუფასურებელი ეფექტის მანიფესტირება, რადგან ღვინის გაყიდვის შეუძლებლობა მხოლოდ იმან გამოიწვია, რომ საცობების ნაკლის გამოსწორება (საცობის მოცლა, ღვინის ხელახლა ჩამოსხმა, ბოთლების დაბეჭდვა და ა.შ.) არათანაზომიერ ხარჯებს გამოიწვევდა [და

⁸⁶ BGH, Urteil vom 7. Dezember 1993 - VI ZR 74/93 - NJW 1994, 517, NJW-RR 2017, 219, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 9. Dezember 2014 - VI ZR 155/14 - NJW 2015, 1174, juris Rn. 18; BGH, Urteil vom 21. Juni 2016 - VI ZR 403/14 - juris Rn. 17; vgl. auch BGH, Urteil vom 27. September

2022 - VI ZR 336/21 - NJW 2022, 3789, juris Rn. 7 ff. სატრანსპორტო საშუალებებისთვის.

⁸⁷ BGH, Urteil vom 21. November 1989 - VI ZR 350/88 - NJW 1990, 908.

არა თავად ღვინის გაფუჭებამ].⁸⁸ სხვაგვარად რომ ვთქვათ: ღვინის გამოყენების შეუძლებლობა არ იყო პირდაპირ კავშირში იმ მოვლენასთან, რომელიც მის მიზნობრივ გამოყენებას აფერხებდა [ეს შეფერხება არ იყო გამოწვეული პირდაპირ ღვინოზე ზემოქმედებით, არამედ საცობების გამოცვლის აუცილებლობით გამოწვეული გაზრდილი ხარჯებით]. ის უბრალოდ იმ მოცემულობის ეკონომიკური რეფლექსი იყო, რომ ღვინის საცობების ნაკლით გამოწვეული გაუფასურების გამოსწორების მცდელობა არაგონივრული იქნებოდა.

გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს მიხედვით, ამის საპირისპიროდ, სხვა შემდეგი დადგებოდა, თუ ღვინო, საცობების ნაკლის მიზეზით, ბოთლებში მოხვედრილი ჰაერის მასის გამო, ამ პერიოდში ოქსიდირებულ გემოს მიიღებდა და, ამით, აქამდე მოპოვებულ ჯილდოებსა და სახელმწიფო სერტიფიკატებს დაკარგავდა.⁸⁹ აღნიშნული მსჯელობა სწორია, სულ მცირე, მის ამოსავალ პოსტულატში. თუმცა, დამატებით უნდა ითქვას, რომ დაჟანგვა, როგორც ასეთი (ჯილდოებისა და სერტიფიკატების შედეგებისგან განყენებულად) გამოიწვევდა ნივთის თვისებების არასასურველ ხელყოფასა და, შესაბამისად, ინტეგრულობის ინტერესის დაზიანებას. თუმცა საეჭვოა, შეიძლება თუ არა ზიანი ჩაითვალოს ამ გარემოებით გამოწვეულად, თუ გაუფასურება უკვე მანამდე იქნებოდა დამდგარი საცობების მიზეზით: თუ უკვე ობის დაგროვება (და, ამით, საცობების ნაკლით გამოწვეული გამაუფასურებელი ეფექტის მანიფესტირება) გამოიწვევდა ღვინის (უფრო ზუსტად: ღვინის ბოთლების, როგორც ღვინისგან, ბოთლისა და საცობისგან შემდგარი მთლიანობის) გაყიდვის შეუძლებლობას და ხელახლა ჩამოსხმა არათანაზომიერ ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული, ღვინის ბოთლები (და, ამით, მათი შიგთავსიც) ამ მომენტისთვის უკვე ღირებულების არმქონე იქნებოდა. კერძოდ, შემდგომი დაჟანგვა შეეხებოდა პროდუქტს, რომე-

ლიც, ქონებრივსამართლებრივი პერსპექტივიდან, უფრო მეტად უკვე ველარ დაზიანდებოდა [რადგან სრულებით გაუფასურებული იყო].

ცალკეულ შემთხვევებში, ინტეგრულობისა და ექვივალენტურობის ინტერესების გადაფარვისა და მათ შორის მიჯნის დადების სირთულის შემდეგი მაგალითია გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს 1993 წლის 16 თებერვლის განჩინება.⁹⁰ აღნიშნული დავა ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ, ქოთნის მიწის აქტიური ნივთიერებების შეუსაბამო შემადგენლობის გამო, ფურისულას ზრდა შეფერხდა. აქ გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ დაინახა საკუთრების ხელყოფა, თუმცა – ხანდაზმულობის მთელი რიგი პრინციპის უარყოფით (იხ. ამასთან დაკავშირებით ზემოთ, I.) – ზიანის ანაზღაურების დელიქტურ მოთხოვნაზე, ექვივალენტურობის ინტერესთან სიახლოვის გამო, ნასყიდობის სამართლის ხანდაზმულობის ვადა გაავრცელა.⁹¹

საბოლოოდ, მართებულია პოზიცია, რომელიც აქ საკუთრებას ხელყოფილად მიიჩნევს. მართალია, მოლოდინი, რომ „ყვავილების მიწის“ გამოყენება მცენარეების ზრდას ხელს შეუწყობდა, მხოლოდ სახელშეკრულებო შესრულების ინტერესის ნაწილი იყო, თუმცა აქ მიწა არა „მხოლოდ“ არაეფექტური გამოდგა, რაც მხოლოდ ნივთის ნაკლის გამაუფასურებელი ეფექტის მანიფესტირება იქნებოდა და არა – დელიქტურ მოთხოვნის განმაპირობებელი, არამედ – მავნებელი ნივთიერებების შემცველი, რამაც [ჩვეულებრივი] ზრდაც შეაფერხა და ამით ინტეგრულობის ინტერესი ხელყო. ამდენად, ნებისმიერი ზიანი, რომელიც გამოწვეულია იმით, რომ ფურისულა ისე არ გაზრდილა, როგორც სასუქისგან იყო მოსალოდნელი (კერძოდ, ღირებულებითი სხვაობა „ძალიან კარგ ფურისულას“ და „საშუალო ფურისულას“ შორის), მხოლოდ და მხოლოდ, ნასყიდობის სამართლიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების წინაპირო-

⁸⁸ BGH, Urteil vom 21. November 1989 - VI ZR 350/88 - NJW 1990, 908, juris Rn. 18 ff.

⁸⁹ BGH, Urteil vom 21. November 1989 - VI ZR 350/88 - NJW 1990, 908, juris Rn. 22 f.

⁹⁰ BGH, Beschluss vom 16. Februar 1993 - VI ZR 252/92 - NJW-RR 1993, 793.

⁹¹ BGH, Beschluss vom 16. Februar 1993 - VI ZR 252/92 - NJW-RR 1993, 793, juris Rn. 3.

ბებს აკმაყოფილებდა და მხოლოდ მის ფარგლებში უნდა ანაზღაურებულიყო.⁹² ამის საპირისპიროდ, [გამოუსადეგარი მიწით დაზიანებულ] „მინი ფურისულებისა“ და „საშუალო ფურისულების“ ღირებულებებს შორის სხვაობა აკმაყოფილებდა ასევე დელიქტური წესით ანაზღაურებადი ზიანის წინაპირობებს.

ინტეგრულობის ინტერესის ხელყოფა, რომელიც წარმოშობს დელიქტურ პასუხისმგებლობას, არ არის გამორიცხული მხოლოდ იმის გამო, რომ ნასყიდობის საგნის (სასუქის) ნაკლიდან დამდგარი ზიანი შეეხო იმ სამართლებრივ სიკეთეს (ფურისულა), რომელსაც, ხელშეკრულების შესაბამისად, ნასყიდობის საგნიდან სარგებელი უნდა მიეღო (ამაზე ზემოთ, II. 1. b). მართალია, აღნიშნული ერთმანეთთან მჭიდროდ აკავშირებს სახელშეკრულებო და დელიქტურ დონეებს, თუმცა არაფერს ცვლის იმასთან დაკავშირებით, რომ ამ სამართლებრივ სიკეთეზე ნეგატიური ზემოქმედება ეხება ინტეგრულობის ინტერესს.⁹³

3. პროგრესირებადი ნაკლი

ა) პრობლემის აღწერა

ინტეგრულობისა და ექვივალენტურობის ინტერესებს შორის მიჯნის გავლება პრობლემურია, როდესაც ნასყიდობის საგნის ნაკლი სახეზეა უკვე რისკის გადასვლის [ჩვეულებრივ: ნივთის გადაცემის] მომენტში, თუმცა ნაკლი ახასიათებს ნასყიდობის ერთიანი ნივთის მხოლოდ ერთ ცალკეულ ნაწილს, რომელიც გამიჯნულია სხვა ნაწილებისაგან. თუ რისკის გადასვლის შემდგომ ნაკლი გავრცელდა მთლიან ნივთზე (რასაც გერმანელები „პროგრესირებად ნაკლს“ უწოდებენ), ჩნდება კითხვა, ნაკლის პროგრესირებიდან წარმომდგარი ზიანი ინტეგრულობის ინტერესის ხელყოფას უნდა მივაკუთვნოთ, თუ – ექვივალენტურობის.

მაგალითად გამოდგება შესავალში განხილული ნაყიდი ავტომობილის ავზის ნაკლი, რომელიც იწვევს საწვავის ჩაღვრას და, შედეგად, ავტომობილის ხანძრის გამო განადგურებას, ან ისევე ავტომობილის მაგალითზე: გაცვეთილი და დისფუნქციური მუხრუჭი ან დაჩუტული საბურავი იწვევს ავარიას, რის შედეგადაც მთლიანად მანქანა ზიანდება.

გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, უნდა დაზუსტდეს, რომ აღნიშნული პრობლემატიკა მხოლოდ ნასყიდობის საგანთან დაკავშირებულ ზიანს ეხება, კერძოდ, დასახელებულ მაგალითებში – შეძენილი [მთლიანი] ავტომობილის დაზიანებას (რომელიც სცდება ცალკეული ნაწილის მანამდე არსებულ ნაკლს [მისი დაფარვის სფეროს]). სხვა სამართლებრივი სიკეთეების, კერძოდ, დაშვებული საბურავით ან გაცვეთილი მუხრუჭით გამონვეული ავარიით სხვა ავტომობილების დაზიანება, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, მიეკუთვნება ინტეგრულობის ინტერესს და ექცევა (თუ სახეზეა შესაბამისი ფაქტობრივი წინაპირობები) დელიქტური სამართლის დაცვით სფეროში.

სულ მცირე, ამოსავალი წანამძღვრების ნაწილში, შემთხვევათა აღნიშნული ჯგუფი განსხვავდება 1-ელ და მე-2 ქვეთავებში განხილული ჩაშენებისა და გადამუშავების შემთხვევებისგან. ზემოთ აღწერილ [პირველი ჯგუფის] შემთხვევებში მყიდველი იზოლირებულად იძენს ცალკეულ ნაწილს, როგორც წუნდებულ პროდუქტს და მხოლოდ შემდგომი გადამუშავების ან ჩაშენების გზით ქმნის ერთგვარ კავშირს სხვა, მანამდე უნაკლო, ცალკეულ ნაწილებთან – მაგალითად, ღვინის ბოთლების დაბეჭდვა ან ონკანის მოწყობილობების ჩაშენება. პროგრესირებადი ნაკლის თემატიკა, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული, აღნიშნულისაგან განსხვავდება იმით, რომ ასეთ დროს მყიდველი თავიდანვე იძენს ერთიან ნივთს, თუმცა ამ მომენტში, ნაკლი სუბსტანციურად ნასყიდობის საგნის, ჯერ

⁹² ამ შემთხვევაში ზიანის ოდენობის გამოთვლისას ქოთნის მიწის ნასყიდობის საფასური დამატებით არ იქნებოდა ასანაზღაურებელი, რადგან ეს ჩაითვლებოდა „ისედაც გასაღებ ხარჯებად“, რომლებიც ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაშიც დადგებოდა.

⁹³ თუმცა, გერმანული სამართლის მიხედვით, აღნიშნულ შემთხვევაში წუნდებული პროდუქტიდან გამომდინარე პასუხისმგებლობა არ დადგებოდა, წუნდებული პროდუქტისთვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონის 1 | 1 პარაგრაფის მიხედვით, ამასთან დაკავშირებით იხ. ზემოთ II. 1. ბ).

კიდევ, მხოლოდ ერთ, გამიჯვნად ნაწილის ახასიათებს.

ბ) სასამართლო პრაქტიკის მირ შემოთავაზებული გადაწყვეტა

პროგრესირებადი ნაკლის შემთხვევებს გერმანული სასამართლო პრაქტიკა (რაც ლიტერატურაში, ნაწილობრივ, გაკრიტიკებულია) ასხვავებს და აჯგუფებს იმის მიხედვით, უკვე თავიდანვე აუფასურებს თუ არა გადაცემის მომენტში არსებული ნაკლი [რომელიც ტექნიკურად ნივთის მხოლოდ ერთ ნაწილს ახასიათებს], ეკონომიკური თვალსაზრისით, მთლიან ნივთს („მთლიანი ნივთის გამაუფასურებელი ეფექტი“ – „Stoffgleichheit“).⁹⁴ ნაკლის ამგვარი, „მთლიანი ნივთის გამაუფასურებელი ეფექტი“ სახეზეა, როდესაც ნასყიდობის საგნის ნაკლი უკვე რისკის გადასვლის მომენტშივე მოიცავს/ფარავს მთლიან ნივთს, რომლის დაზიანების გამოც ითხოვს კრედიტორი ზიანის ანაზღაურებას. ეს ეხება განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც ნასყიდობის საგანი, როგორც მთლიანობა, ნაკლის გამო, უკვე მისი შეძენის მომენტშივე მხოლოდ შეზღუდულად იყო გამოყენებადი, ან საერთოდ გამოუსადეგარი იყო დასახული მიზნისთვის. იგივე წესი მოქმედებს მაშინ, როდესაც (თუნდაც შეძენილი მთლიანი ნივთის მხოლოდ ერთ ნაწილთან დაკავშირებული) ხარვეზის გამოსწორება საერთოდ შეუძლებელია ტექნიკურად ან ეკონომიკურად აზრს მოკლებულია. თუ, მოცემულის საპირისპიროდ: 1. ნაკლი ვრცელდება ნივთის მხოლოდ ერთ ნაწილზე; 2. გამოსწორებადია, აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, და 3. მხოლოდ მოგვიანებით იწვევს მთლიანი ნივთის დაზიანებას (პროგრესირებს (Weiterfressen – „მთლიან ნივთს მოედება“) – ეს შემდგომი, მთლიანი ნივთის გაუფასურებით დამდგარი ზიანი არ არის მოცული თავდაპირველი ნაკლის „გამაუფასურებელი ეფექტით“ [და ანაზღაურებადია დელიქტური წესით].

საკითხის გადაწყვეტა, არის თუ არა ხელყოფილი შეძენის ექვივალენტურობის ინტერესთან ერთად, ასევე, ინტეგრულობის ინტერესიც, არ არის დამოკიდებული იმაზე, შეძლებდა თუ არა, მოვლენების ნორმალური განვითარების შემთხვევაში, შესაბამისი მყიდველი ხარვეზის აღმოჩენას ზიანის დადგომამდე. თუმცა მნიშვნელოვანია, აღმოჩენადია თუ არა ნაკლი – ობიექტური ტექნიკური თვალსაზრისით – მიზანმიმართული შემოწმებისას, იმ დათქმით, რომ ამგვარი შემოწმება არ მოითხოვს დროისა და ხარჯების არათანაზომიერ ოდენობას. თუ ეს სახეზე არ არის, ნასყიდობის საგნის ნაკლი (ტექნიკური თვალსაზრისით, იზოლირებულად გამოსწორებადიც კი) მიეწერება [აუფასურებს] მთელ ნივთს, რადგან ასეთი ნაკლი, ეკონომიკური თვალსაზრისით, თავიდანვე გამოუსწორებლად მიიჩნევა (ნაკლის აღმოჩენის ხარჯების არათანაზომიერების გამო). შეჯამების სახით: ნივთის თავდაპირველი ნაკლის გამაუფასურებელი ეფექტი და მთლიანი ნივთის დაზიანება ურთიერთმფარავია (და უკვე მთლიანი ნივთი ითვლება თავიდანვე გაუფასურებულად), როდესაც, მაგალითად, ნაკლის აღმოჩენისთვის საჭირო შემოწმებისა და მისი გამოსწორებისთვის საჭირო ხარჯები უტოლდება ან აჭარბებს მთლიანი ნივთის ღირებულებას.⁹⁵

ავტომობილის ნაკლიანი ავზის მაგალითზე ეს ნიშნავს შემდეგს: ნაკლი, რომელიც იწვევს სანვავის ჩაღვრას, არის როგორც ტექნიკურად, ისე ეკონომიკურად გამოსწორებადი. ამდენად, ის თავიდანვე არ ვრცელდება მთლიან ავტომობილზე. თუ სანვავის ჩაღვრამ ხანძარი გამოიწვია, რომელმაც ავტომობილი გაანადგურა, ცალკე აღებული, ავზის ღირებულების – როგორც ზიანის – ანაზღაურება, მიეკუთვნება მხოლოდ ექვივალენტურობის ინტერესს. დანარჩენი ავტომობილის დაზიანება კი, ხდება [ასევე] დელიქტური სამართლის დაცვის სფეროში, რადგან ის ეხება უკვე ინტეგრულობის ინტერესს. ეს ძალაშია, ასევე, (ავზში მოთავსებული) სანვავის

⁹⁴ BGH, Urteil vom 23. Februar 2021 - VI ZR 21/20 - NJW 2021, 1883, juris Rn. 16 f.; BGH, Urteil vom 12. Dezember 2000 - VI ZR 242/99 - BGHZ 146, 144, juris Rn. 10 ff.; BGH, Urteil vom 31. März 1998 - VI ZR 109/97 - BGHZ 138, 230, juris Rn. 12, 20 f.

⁹⁵ სრულად: BGH, Urteil vom 23. Februar 2021 - VI ZR 21/20 - NJW 2021, 1883, juris Rn. 16 f.; vgl. auch BGH, Urteil vom 24. März 1992 - VI ZR 210/91 - NJW 1992, 1678, juris Rn. 12 ff.; BGH, Urteil vom 12. Februar 1992 - VIII ZR 276/90 - BGHZ 117, 183, juris Rn. 22 ff.

შემთხვევაშიც; იმის მიუხედავად, რომ ავზის ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქცია სანავის უსაფრთხოდ შენახვაა.

აღნიშნულ საფუძვლებზე დაყრდნობით, გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ შემდგომში გადაწყვიტა, რომ გამყიდველი დელიქტური წესით პასუხს აგებს მის მიერ გაყიდული მეორადი ავტომობილის იმ დაზიანებაზე, რომელიც გამონვეულია საბურავების [საგზაო მოძრაობის წესებთან] შეუსაბამობით.⁹⁶ იდენტურად წყდება საკითხი, როდესაც ავტომობილის დროსელის კაბელი, ნაკლის გამო, იჭედება და ავარიას იწვევს.⁹⁷ აღნიშნულის დასასაბუთებლად იყენებენ იმავე არგუმენტებს, რაც ავტომობილის ნაკლის მქონე ავზთან დაკავშირებით.

გ) ნაკლის მქონე ნივთის ჩაშენება სამშენებლო კონსტრუქციაში

გერმანულ სასამართლო პრაქტიკას არ აქვს ყოველთვის სწორხაზანოვანი მიდგომა და ერთმნიშვნელოვანი პასუხი კითხვაზე, თუ როგორ უნდა გაიმიჯნოს ინტეგრულობისა და ექვივალენტურობის ინტერესები, როდესაც ნაკლის მქონე ნივთი ჩაშენდა ნაგებობაში, რომელიც მშენებლობის პროცესშია ან, როდესაც ის, სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში (რაზეც იგივე სამართლებრივი რეჟიმი ვრცელდება), აზიანებს შენობის სუბსტანციას.⁹⁸ სასამართლო პრაქტიკა ამჟამად ხელმძღვანელობს გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს 2021 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით⁹⁹. აღნიშნული საქმის (აქ გამარტივებულად წარმოდგენილი) გარემოებები იყო შემდეგი:

მოსარჩელე იყო სპორტული დარბაზის მესაკუთრე, რომელიც მან ააგებინა 1995 წელს. მოპასუხემ სანტექნიკური სამონტაჟო სამუშაოები ჩაატარა 1995 წლის აპრილში.

2009 წლის მარტში სპორტულ დარბაზში წყალმა გაჟონა. აღნიშნულის გამომწვევი მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, იყო ის, რომ მოპასუხემ წყალგაყვანილობის კომუნიკაციების სიგრძე დაუშვებლად შეამოკლა. მოსარჩელემ წყალგაყვანილობის კომუნიკაციები 2009 წლის ივლისში საკუთარი ხარჯებით გამოცვალა. სარჩელით ის ითხოვდა იმ მთლიანი ზიანის ანაზღაურებას, რომელიც წარმოიშვა სანტექნიკური სამუშაოების ჩატარებამდე აგებული შენობის ნაწილების (კედლები, იატაკის საფარი და ფუძე) დაღობით.

გერმანიის ფედერალურმა უმაღლესმა სასამართლომ გადაუხვია თავის მანამდე არსებულ პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც, თუ ნაკლის მქონე სამშენებლო ნაწილი ან შესაბამისი ნაკლოვანი მომსახურება „ნაგებობის დაზიანებული ნაწილის დაცვისთვის იყო გამიზნული“, ეს [და მსგავსი ტიპის შემთხვევები] მშენებლობისას მხოლოდ ექვივალენტურობის ინტერესის დარღვევად ითვლება.¹⁰⁰ აღნიშნულის საპირისპიროდ, გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ პირველად (სწორად) გამოიყენა ე. წ. პროგრესირებადი ნაკლის კრიტერიუმები ნაკლის მქონე ნივთის მშენებარე ნაგებობაში ჩაშენებაზე; განურჩევლად იმისა, ნაგებობის ნაშთი იმ მომენტში ხდებოდა თუ ხდებოდა ნაგებობის უკვე არსებულ სუბსტანციაში ჩაშენება/დაშენება და ა. შ.

ამგვარად, კონკრეტულ შემთხვევაში უკვე ინტეგრულობის ინტერესი იყო ხელყოფილი. ეს, არსებითად, გამონვეულია იმით, რომ წყალგაყვანილობის კომუნიკაციების ხარვეზი აღმოჩენადი იყო და მისი აღმოფხვრა – ნაგებობის სხვა ნაწილების განადგურების გარეშე – იყო შესაძლებელი. გარდა ამისა, სანტექნიკური სამუშაოები, წყლის გაჟონვით ზიანის დადგომამდე, არ

⁹⁶ BGH, Urteil vom 11. Februar 2004 - VIII ZR 386/02 - NJW 2004, 1032, juris Rn. 12; BGH, Urteil vom 5. Juli 1978 - VIII ZR 172/77 - NJW 1978, 2241, juris Rn. 20 ff.

⁹⁷ BGH, Urteil vom 18. Januar 1983 - VI ZR 310/79 - BGHZ 86, 256, juris Rn. 8 ff.

⁹⁸ შდრ., მაგალითად, BGH, Urteil vom 24. Juni 1981 - VIII ZR 96/80 - NJW 1981, 2248; juris Rn. 32 f., ბინის სახურავზე წარმოქმნილი ბზარებისთვის, რომელიც გამონვეულია საიზოლაციო ელემენტების ნაკლით; BGH,

Urteil vom 27. Januar 2005 - VII ZR 158/03 - BGHZ 162, 86, juris Rn. 32 ff., სამშენებლო სტრუქტურის ხელყოფისთვის, რომელიც გამოიწვია არასწორად წარმოებულმა დასუფთავების სამუშაოებმა.

⁹⁹ BGH, Urteil vom 23. Februar 2021 - VI ZR 21/20 - NJW 2021, 1883, juris Rn. 12 ff.

¹⁰⁰ გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს 2005 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილების 1-ლი სახელმძღვანელო წინადადება - VII ZR 158/03 - BGHZ 162, 86.

უშლიდა ხელს სპორტული დარბაზით შეუზღუდავ სარგებლობას.¹⁰¹ ამიტომაც, უმნიშვნელო იყო, წყლის გაჟონვით დაზიანებული შენობის ნაწილები – რომელთა ფუნქციონირებასაც ნაკლები მანამდე ხელს არ უშლიდა – წყალგაყვანილობების დამონტაჟებამდე იყო აგებული და თუ მათი აგება ამ დამონტაჟების შემდეგ მოხდა.¹⁰²

დ) შემაჯამებელი მაგალითი

შეჯამების სახით, ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ ექვივალენტურობისა და ინტეგრულობის ინტერესები შემდეგი მაგალითის გამოყენებით: ღვინის ბოთლების მწარმოებელმა ისინი გაასხვისა რისელერზე და ობი მხოლოდ ამის შემდეგ დაგროვდებოდა დაჟანგვის შედეგად (რაც გამოწვეულია მწარმოებლის ბრალით – კონკრეტული გარემოებები მიუთითებდნენ საცობების ნაკლზე და მან, აღნიშნულის მიუხედავად, მაინც არ შეამოწმა ისინი).

რისელერი ასეთ შემთხვევაში მწარმოებლისგან მიიღებდა ერთიან ნივთს (ღვინის ბოთლს), რომელიც შედგება სამი საგნობრივად გამოცა-

ლკევებადი ნაწილისგან (ბოთლი, საცობი, ღვინო). ნასყიდობის საგანზე რისკის გადასვლის მომენტში, წმინდა ფაქტობრივი თვალსაზრისით, ნაკლი გააჩნდა მხოლოდ საცობებს, რომელიც უპრობლემოდ გამოცალკეებადი იყო (ამოხრახნის გზით) სხვა (ამ მომენტში, ცალკე აღებული, უნაკლო) ნაწილებისგან. თუმცა ეკონომიკურად ეს არათანაზომიერ ხარჯებს გამოიწვევდა. ამდენად, ზემოხსენებული კრიტერიუმების მიხედვით, ნივთის ნაკლით, უკვე რისკის გადასვლის მომენტშივე, მთლიანი ნივთი იყო მოცული. ამდენად, საცობების ნაკლის გამაუფასურებელი ეფექტი არ რეალიზებულა, მხოლოდ და მხოლოდ, მოგვიანებით, ობის დაგროვებით. ამიტომაც, შემდგომი დაჟანგვაც ექვივალენტურობის ინტერესის ხელყოფად უნდა ჩავთვალოთ, რადგან თავიდანვე, ეკონომიკური თვალსაზრისით, არაგონივრული იქნებოდა, ნაკლის მქონე საცობების (ამ მომენტში ჯერ კიდევ დაუზიანებელი) ღვინისგან გამოცალკეება. მოცემული გადაწყვეტის თანახმად, უმნიშვნელოა, გადამოწმების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა საცობების ნაკლის დროულად აღმოჩენა.

¹⁰¹ BGH, Urteil vom 23. Februar 2021 - VI ZR 21/20 - NJW 2021, 1883, juris Rn. 17.

¹⁰² BGH, Urteil vom 23. Februar 2021 - VI ZR 21/20 - NJW 2021, 1883, juris Rn. 19.